

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 17

2020



მთ. რედაქტორი

**დავით ყანდაშვილი**

ფილოსოფოსი (ეზოტერიკი),  
საქართველოს მწერალთა,  
მეცნიერთა და საზოგადო  
მოდერნიზატორთა საერთაშორისო  
აკადემია „ქალდეა“-  
საქართველო-“ს წევრი

© ვაჟა ეგრისელი, 2020


გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-824-3 (17 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანდა რა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილოზოფ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთტომეული – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტაგებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გენერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გენერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეპანდის მედლისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გენერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდგომის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსაღმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადასრულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) სამრ(ო)-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟაი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცინვად უხვფლი ყოველ ძეხას, ყოველ  
ძაბეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

„მოულოდნელად აფეთქდა გული,

გული კი არა,

მაღალ მკერდში

ნაღმი მდებია,

რადგან მოსვლიდან ბედთან თამაშს

ადარ იშლიდა.

მწამს ჩემი ზღვები,

უჩემობას აბღავლდებთან,

მათ თქვენ გიტოვებთ,

მოეფერეთ და დამიმშვიდეთ!“

ზღვისა და მისი გარემოს ხატონად წარმოჩენის  
იშვიათი სურათია შემდეგ ლექსში:

„ზღვა ქარის ხმაზე გამოიღვიძებს,





სადღაც სიწუმის იღება კარი,  
გამოსტის ელვა,  
თითქოს ფეხმარდი ნადირია.  
ცის ლურჯ დარბაზში დგას კუბო მთვარის  
და ვარსკვლავები დასტირიან“.

პოეტი მდიდარია ზღვით, ისაა მისი სიძლიერეც  
და შთაგონებაც:

„როგორც პოეტი, ზღვით ვარ მდიდარი  
და ვიცი,  
ჩემგან მისხლობით თუ ცისფერ ურმებით,  
ზღვა მიაქვს მოყვასს, მტერს და მნათესაც,  
თუ გავღარიბდი,  
ოკეანეს კვლავ ვესტუმრები,  
ვით შორეულ და მდიდარ ნათესავს“.

პოეტი ზღვით ცოცხლობს, ზღვით სუნთქავს და  
სიცოცხლეს ზღვით უკვდავოფს სამარადისოდ:

„...უმადლეს ძეგლად უღურჯესი  
შენი ზვირთები,  
მე მეკუთვნის და აღმიმართე დღეში ათასჯერ“.

ვაჟა ეგრისელის ზღვა და მისი სტიქიები პოე-  
ტის მაჯისცემასთანაა შეერთებული:



„სადღაც ღრუბლების სველა იქცევა,  
იქ ზღვამ დამბადა  
თავის ქაფიდან.  
ზვირთად მიმოღის –  
დაღუპულთა სულების რიგი.  
სიკვდილის შემდეგ  
სად ვიქნები?  
კვლავ ზღვად ვიქცევი,  
ნახეთ შავი ზღვა,  
და მე ვარ იგი“.

ვაჟა ეგრისელმა მთელი არსებით უმღერა ზღვას, თანმიმდევრული ინტერესის საგნად აქცია აბობოქრებული თუ მიძინებული მწუხარე, თუ მხიარული ზღვა. პოეტის რწმენით ზღვის გარეშე დედამიწაზე ცხოვრება წარმოუდგენელია, სიცოცხლე და ზღვა სინონიმია იმ შორეული მისტიკის, რომელიც მუდამ ანათებს, ასხივოსნებს პოეტის სულს.

ვაჟა ეგრისელმა ზღვა დაუკავშირა ცხოვრებას, სიცოცხლეს, სამყაროს მოვლენებსა თუ ადამიანის სულს. ზღვა აქცია პოეტმა მოვლენათა სიმბოლიზაციის საშუალებად და ორიგინალურ მხატვრულ სახეებში გააუკვდავა ბუნების ეს საოცარი სტიქიონი. უნებურად მახსენდება: „მსოფლიო სული ზღვაა უძირო, არამც თვალფიქრმიუწვდომელი ცა. ამ ზღვის სათვის კაცი გემია. ნიჭი აფრა და მეცნიერება საჭე



გემის მმართველი. ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდს ჩვენი ზეცისა და ქვეყნის საიდუმლო მხედვად, ყური ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად“.<sup>1</sup>

ზღვა პოეტისათვის დიდი ოცნებისა და იმედების წყაროა, სჯერა ისიც, რომ ზღვაში ბევრი ადამიანის სიცოცხლე დაკარგულა, რომ:

„ზღვაში დაღუპულ და დაკარგულებს  
თმაგაწეწილი ქარი დაეძებს,  
მოდინ როგორც ჭირისუფლები,  
შავით მოსილი შავი ღრუბლები  
ტირიან...

და ცა ელვით იხსენებს,  
მაინც ვერავინ ახერხებს პოვნას  
და ფსკერზე მშვიდად ვინც განისვენებს –  
ზღვას თოლიებად დაფარფატებს  
იმათი ხსოვნა“.

---

<sup>1</sup> კოტე მელაშვილი, „ვაჟა ვერისელი“, გამომცემლობა „დიადემა“, თბ., 1993. გვ. 57.



ვაჟა ეგრისელის აზროვნება ნათელი და მკაფიოა, პოეტის განცდა ზომიერია, თავშეკავებული. იცის ზღვის ავიც და კარგიც. ზღვები ღრუბლების დამორჩილებით და მათი ვეება მუცლების გაფატვრით იმხელა ცოდვას ჩადიან, რომ ნაპირთან მუხლებზე დავარდნა და ლოცვად ცისკენ ხელების აღმართვაც არ მოუვლენთ ხოლმე მიტევენას.

ზღვა ვაჟა ეგრისელისათვის უძვირფასესია იმიტომ, რომ იგი მას თავისუფლებისაკენ ბრძოლის წყურვილით აღანთებს და ზღვის ყოველ მოძრაობას მთელი არსებით განიცდის, როგორც განახლების სიმბოლოს, ამიტომაც სწადია შეგრძნება იმ სიხარულისა, რომელსაც შერწყმა გამოიწვევს:

„ზვირთებს ჩაკრულებს

ზღვის ლურჯ აკვნებში,

მაღლა ამოსვლის ჰკლავდათ წყურვილი,

თავისუფლებას

ქარი დაჰპირდათ

და მზე და ლტოლვა

მკერდზე ეფინათ.

ძრწოდა მიდამო...

და ქარიშხლით გაცრილ ნაპირთან –

მკვდარ დედის ძუძუს უხმოდ წოვდა

ციცქნა დელფინი“.



ამ ლექსში უიშვიათესი მეტაფორული აზროვნება გვხვობდავს. ასეთი პოეტური შედარებები ლექსებს მატებენ ჰარმონიულობას, სიცხოველეს, აღქმის უნარს, რაც პოეტის ყველა ლექსისთვის არის დამახასიათებელი. პოეტმა იცის თავის სიტყვისი წონა და „მადლიც“. მეტაფორული აზროვნება პოეტისათვის იგივეა, რაც მხატვრისათვის მეტყველი ფუნჯი.

„ვაჟა ეგრისელის წიგნში „იქმენ ნათელი“, ორი ათასი ლექსი კი არა, ორი ათასი მხატვრული ტილოა პოეტური ფუნჯით ამეტყველებული“. (ჯემალ ადამია, ლიტერატორი, იურისტი.)

ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნების სიღრმე იმდენად შთამბეჭდავია, რომ სულიერი გაუცხოებით დაღდასმულ ამ ეპოქაში მკითხველს განაწყობს აზროვნებისათვის, ასწავლის ოცნებას, სინამდვილის დანახვას, ჭეშმარიტების ძიებას. გაჰყვეს მისი ლირიკული გმირის სულის მოძრაობას. ასწავლის სიკეთესთან შეერთებას...

ვაჟა ეგრისელი გვიხატავს ზღვის მარადიულობას, მაგრამ ამავე დროს სახეცვლილებას შერთმულს და შენივთებულს მის პოეტურ იდუმალებასთან. თუ თითოეულ მეტაფორას შესაძლებელი პოზიციიდან შევხედავთ, გვეჩნება საშუალება მივუახლოვდეთ პოეტის ფიქრებს, აზრებსა და განწყობილებებს.



ბობოქარი ზღვა ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთი უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური ფენომენია, რომელიც ცხოვრების სიმბოლოც არის და სუბიექტური განცდის გამომხატველიც. ცხოვრების არსის, ცხოვრების ავ-კარგის და ბუნების ნაირსახეობაც ზღვის სურათით ხდება:

„დილით მოვარდნენ  
შმაგი ქარები,  
ცაზე ღრუბლები გაფინეს და  
ოდნავ გაწურეს.  
ზღვა, ვით მიჯნური,  
სიცხიანი წევს,  
არარაობს,  
სანაპირო კი როგორც ქალწული  
ეფერება და უნანავებს  
ჩრდილთა მარაოს“.

მთელ რიგ კონტექსტებში ზღვა პოეტის სულიერი მეგობარია, ურომლისოდაც ცხოვრება წარმოუდგენელია. ზღვასთან წილნაყარობა პოეტისათვის სიკვდილისაგან გაქცევის, არნახულ წინააღმდეგობათა გადალახვის მძაფრი სურვილია. პოეტის ფიქრიან სამყაროსაც ზღვა განაგებს:



„რჩეულ ტალღების ურდოს –  
ედება ფერი  
ქვიშის,  
ოცნებების ქარი ბუდობს –  
ზღვის შედეგებულ  
ტვინში“.

ან:

„ზღვისა და ქარის აკვნის რწვევაში  
„დბუია ბონდოსთან“ –  
ესმის „ჩაკრულო“.  
და ბაგეებზე უდის დედის ძუძუს სურნელი.  
ფერად სიზმრებში –  
თბილად ჩაკრული,  
ჩემი ბავშვობა წევს უზრუნველი“.

ვაჟა ვერისელის ლექსი „ზღვა და მთა“ განსაკუთრებულია. აქ შემოქმედი შინაგანი ხილვის პოეტია და მისი შინაგანი ჰარმონიისა და სულიერი სიმდიდრის წყარო, საუნჯე ამ საუფლოშია დავანებული:

„ზღვის უზარმაზარ სადარბაზოსთან,  
კვლავ მედიდურად დგანან ტინები,  
ქარი არხევს და მნათობები ტალღებში ცვივა.  
ზღვა ხელებს უწვდის,



მთას საშველად ეპოტინება,  
მთა არ იკარებს და უმზერს  
ცივად“.

ლექსი – „ზღვაში გრიგალები ბუდობენ“ გამო-  
ხატავს მოძრაობას, აქტიურობას. იცის რომ ზღვაში  
გრიგალები ბუდობენ, რომ გრიგალს შიშიც მოს-  
დევს, მაგრამ სჯერა წინააღმდეგობების გადალახ-  
ვის.

ვაჟა ეგრისელი თავისი ქარიშხლებით, გრიგა-  
ლებით, ზვირთებით, ზღვის სტიქიებით თავის ზღვა-  
ოსან, რომანტიკოსის წინაპრებს ეხმაურება, რამეთუ  
მართლაც:

„გზები მარადჯამს სადღაც გვიხმობენ,  
გვაკრთობს და გებანგავს მზე კაშიშია,  
მთა სპეტაკია და უნდობი,  
ვით ლამაზმანი, ზღვაც საშიშია,  
ზღვაში გრიგალები ბუდობენ“.

\*

ტალღებს გრიგალში უნდათ გაფრენა  
და აკივლებულ ქარებს ბაძვენ...  
თვალეზღათხრილი ნიჟარების ისმის არია...  
განისვენებენ ჩემი ზღვები?

აბა,

რას ბრძანებ!





პირიქით, მუდამ შფოთში არიან“...

ვაჟა ეგრისელისათვის გრიგალი მარადიულობისაკენ სწრაფვის სიმბოლოა. პოეტის რწმენით უკვდავებაც გრიგალის ძალისაა. ზღვას მუდამ დეღვა ახლავს თან და ქარიშხალიც მგოსნის ფიქრით მოუსვენარია. პოეტის უნიკალური სიდიადე ქარიშხლის სულსაც წვდება:

„მგოსნის ფიქრით –  
აღარ ისვენებ,  
შენ ქარიშხლის სულო გრძნეულო,  
ცის ვარსკვლავებო,  
ბაეშეობაში ბევრჯერ დათვლილო, –  
ზღვას სურს, წამით რომ  
თვალი მიღულოს,  
მაგრამ თოლია ფრთას გაჰკრავს კვლავ,  
რომ არ ჩათვლიმოს“.

ვაჟა ეგრისელის ხატები და სიმბოლოები ფართო განფენილობას იძენს და დიდი სიღრმისეული შინაარსით იტვირთება. გულისმკვლელი მიწიერი ვნებები თუ ღირებულებები კრისტალურ განზოგადობამდე მადლდება, იგი ცოცხალი ჩანახატებითა და შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით გადმოგვცემს იმას, რაც კაცობრიობისა თუ საკუთარი გამოცდილების შედეგია. და რაც მკაცრი ლოგიკური საფუძ-



ვლიდან ამოდის, რადგან მისი პოეზია წარმოადგენს მის სულიერ სამყაროს, მთელი მისი გონების, გულისთქმისა და სუნთქვის განუყოფელ ნაწილს.

საოცრად ხელშესახებია ვაჟა ეგრისელის ვიზუალური წვდომა სამყაროს პრეისტორიულ თუ ისტორიულ ლაბირინთებში და ნანახ-განცდილის სულისშემძვრელად კონცენტრირება“... (ოთარ კორდანიას, აკადემიკოსი.)

სიცოცხლის, ბუნების, ადამიანთა ურთიერთობის, სიყვარულის გაფრთხილება, მამულის უსახდვრო სიყვარული, დიდებული წარსულის ჭეშმარიტი ნოსტალგიური განცდა ვაჟა ეგრისელის სულიერი სუბსტანციის უშუალო გამჟღავნება გახლავთ. მის შემოქმედებაში არ არის არცერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც ქვეცნობიერად არ ასახავდეს სიცოცხლისადმი, ბედნიერებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას.

ვაჟა ეგრისელი XXI-ე საუკუნეში, ანტიკური ხანის კოლხეთიდან მოვიდა. სამყაროს აიეტის თვალით გადახედა, ქართულ პოეზიას მედეასებური გრძნეული სული შთაბერა და უკვდავების გზას გაუყენა. (ნათელა გოხელაშვილი, მწერალი.)

ვაჟა ეგრისელის ზღვის სურათებში დახატული ზღვა მკაცრი ქარებისა და გრიგალების დედაა, არასოდეს არ ისვენებს, ულაყივით ყალყზე დგება და ჭიხვინებს:



„მკაცრმა ქარებმა  
და გრიგალებმა  
ცემით, მუქართ  
მიწას ტვინი გამოულაყეს  
და მაინც ჰყვავის და სიცოცხლის  
ფერით ირთვება.  
ზღვა არ ისვენებს  
და ჭიხვინებს  
როგორც ულაყი  
და ყალყზე დგება რემა  
ზვირთების“.

პოეტი ოცნებით ამარცხებს ზღვის სტიქიას,  
ამით საერთოდ იმარჯვებს ცხოვრებისეულ სირთუ-  
ლეებზე.

ზღვა და გრიგალი, ქარიშხალი პოეტური ფან-  
ტაზიის სიმბოლოა ვაჟა ეგრისელთან და თამამად  
შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ასეთი კონტექსტის  
გრიგალი, პოეტურ შთაგონებასთანაა წილნაყარი:

„ვარსკვლავებით გადახურულ  
ცის ყვითელ  
ტრამალებს  
აკრთობს მიწიერი ღანდების რიალი.  
უკრავს ქარიშხალი  
ზვირთთა კლავიშებზე,



ტორტმანობს,  
ირწევა  
ზღვის შავი როიალი“.

ან:

„ზღვა ხელში როგორ შემომეცრიცა,  
ქარის ხმა გულში  
როგორ მესობა,  
როგორ ჭრიალებს მზეშებმული აღსავლის  
კარი,  
ამღვრეულია ცა როგორც მტკვარი.  
შუადამისას ქარიშხალმა  
ჩაძირა მთვარე  
ღელვამ ნაპირზე გამორიყა გამთენიისას“.

ღირიზმის ნაზი ძაფებითაა ნაქარგი შემდეგი  
სტრიქონებიც:

„ცის სიჩუმეში  
ზღვა როდესაც  
ხელებს შემართავს,  
ქარი მაშინვე აფრებს აუშვებს  
და ამოლესავს ყრუ ნაპირებს  
ქვიშით და კირით.  
გამთენიისას,



ცის ვეება მღვრიე აუზში –  
ღამე კელავ დაყრის ვარსკვლავთა  
ქვირითს“.

ვაჟა ვერისელის პოეზიაში მეტაფორათა ისეთი სიუხვეა, რომ თითოეული სტრიქონი ხშირად მხატვრულ სურათად გვევლინება, თითოეული ლექსი ღამაზ ქანდაკებასავით იკვეთება და ჩამოისხმება:

„ზღვისკარად –  
დაღლილნი, ფეხმორთხმით  
სხედან და ბადეებს კემსავენ,  
ნაგებში უწყვიათ ჭვილთი და ნაჯახი.  
ეს ელვა კი არა,  
უფალმა  
კვეს-აბედს  
გაკრა და  
ყალიონს აჩადებს“.

ამ ლექსში გაჩაღებული ყალიონი სიმბოლური სახეა ყოფიერების, დასასრულისაკენ დაქანებულ კაცთა მოდგმას, მომავალ თაობებს თავისუფლება და სიხარული რომ მოევიდნოს მხსნელად უფლის მიერ აბრდღვიალებული კვეს-აბედი სიყვარულისა და სიხარულის დროგამძლე ცეცხლია, რომელიც ყალიონში ასოცირდება. ლექსის ლირიკული გმირი ამ



გრძნობის მხატვრული გამოსახვის ჭეშმარიტად ორიგინალურ გადაწყვეტას გვთავაზობს.

ყალიონის გაჩაღებითა და ციცინათელების მიერ სანთლის ანთებით ლირიკული გმირი ცდილობს მოიცვას მთელი სამყარო.

„...ვაჟა ეგრისელის პოეზია, – არა მხოლოდ ქართული, მსოფლიო სივრცეა“. (გრიგოლ დევედარიანი, პროფესორი.)

„მთვლემარე ნაპირთან ტიტველ-შიშველი

ჭყუმპალობენ

ცელქი ტალღები.

თეთრ ფანტელებს კი აღუჩა ბარდნის.

ციცინათელა ღამის კვესზე

სინათლეს კვესაეს.

და სადღაც, მიღმა

სინათლის ფარდის –

ზღვის თუ სულდგმულის მოისმის კვნესა“.

აქვე მინდა ერთ ლექსზე მივაქცევინო ძვირფას მკითხველს ყურადღება, რაოდენი ტრაგიზმის, სასოწარკვეთის დამტვეია იგი, მაგრამ აქ ანგელოზების ცრემლით დანამულ ღრუბლებზე ოქროს რიკებად აელვარებული სხივები მარადიული სულის კივილია, სწრაფვანა სიწმინდისაკენ.



„ანგელოზების ცრემლით დანამულ  
ღრუბლებზე სხივნი იელვებენ  
ოქროს რიკებად.

ცის მდინარეში კიდითი კიდით –  
გადებულია ცისარტყელას  
ვეება ხიდი,  
ზედ ცეცხლის ფაფარაშლილი მზე  
მიიდრიკება“.

თვალს ვერ აშორებ ცეცხლის ფაფარაშლილ  
მზეს. პოეტი აწყობს გრანდიოზულ სანახაობას, რა-  
თა ცისარტყელას ხიდზე გავლით გვაგრძნობინოს  
ცხოვრების, სიცოცხლის მარადიული მშვენიერება  
და სილამაზე.

და მაინც, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ვაჟა ეგ-  
რისელის პოეზიაში ზღვა კეთილისა და ბოროტების  
ასპარეზადაა მოაზრებული და მიუხედავად ყველაფ-  
რისა, პოეტის არსებაში ყველაფერი ზღვით სუნ-  
თქავს, თავად ზღვაა შემოქმედი. ის ლურჯი ტალ-  
ღები გამართავენ ხოლმე დაკუნთულ მკლავებს და  
დაღლილ მძივებს ოქროს ტალღებს აისხამენ, თავად  
ზღვა ადავლენს ღოცვას და

„მერე ნაპირთან დაღლილ ზვირთთა  
ისმის ნადური...  
და ნავში ჟონავს წუხილი მლაშე –



თვალბნელი ღამის  
და მებაღურის“...

ვაჟა ეგრისელი სულ „სხვა თაბუნისა“ (აღ.  
ვაზბეგი), რომელსაც გაცნობიერებულ აქვს და  
ღრმად სჯერა ჭეშმარიტება, რომ „უფალი ღვთის მა-  
ძიებელთ სწორედ ჭირთა სიმრავლის გამო შეეწევა“.

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





## ფსალმუნი

გამხსნელი კი არ ჩანს ფარდის,  
მიტომ ათასწლეულები,  
კოლხურ ცისქვეშ  
მისტირიან:

„ოქროს საწმისს“...

„ჯგერის და ვარდის“

და კოლხეთის მისტერიას.\*

1979

---

\* მისტერია (ბერძნ.) საიდუმლოებანი.

\* \* \*

როცა სიფრიფანა მწუხრი,  
სამეგრელოს მთებს და  
ბორცვებს,  
ნისლის ვერცხლში შეფუთვნიდა,  
მიკითხავდა დედა ლოცვებს,  
ოქროდ ნაწერს  
„ეფუთიდან“.\*

1978

---

\* ეფუთი – კოლხთა (ქართველთა) უძველესი წიგნი.



\* \* \*

ვითარც უცხო პლანეტა,  
კაცის არა,  
უფლისგან,  
აკვანგადარწეული –  
მოდოდა კოლხეთი,  
ასი ათასწლეული.

1959



\* \* \*

მნათთა სანთლებს ანთებენ  
გუნდი ანგელოზების  
და შენც იქით იურვი,  
სადაც სუფევს ნათელი  
არაამქვეყნიური.

1966



**რწმენის კუნძული**

ფარისეველთა და ურჯულთა  
სიძულვილით და  
სისხლით გაღეშილი  
სიტყვაც და საქმეც უძღურია.  
ჩემი „ფსალმუნები“ –  
რწმენის კუნძულია,  
ურწმუნთა დიდ ოკეანეში.

1963



**სოდომიც და გომორაც**

როცა სისხლი დაიდვარა  
კაენის ძმის –  
აბელის,  
როცა ქრისტეს იუდა  
კალთაზე ეამბორა  
და ცოდვები სხვა ბევრი...  
სწორედ მაშინ უფალმა,  
სიკვდილს მოაძოვინა  
სოდომიც და  
გომორაც.

1988



**ბჰირილუბი არაგვთან**

ჯიხვების რქების ნაპერწკლებზე,  
ლოდები გაიხირიმებენ –  
თვითმკვლევლობები რომ  
ყვარებიათ.

არაგვთან რომ შემოგეხდნენ  
გვირილები, –  
თამარ დედოფლის  
თვალებია.

1959



\* \* \*

დღის ბოლოს,  
როცა დაქროლავს,  
შავითმოსილი არავი,  
მაშინ გაიგებს მოკვდავი:  
სიცოცხლის სიდიადეს და  
საწუთროს სიპატარავეს.

1991





**მთავარანგელოზი მიქაელი**

ისმის გრგვინვა-გრიალი:

აღბათ მიქაელი,

თავის ანგელოზებით

ებრძვის ცაში გველეშაპს,

რომელიც ღმერთს არ ყვარობს.

ეშმაკიც და

სატანაც,

სურს, რომ ძირს გადმოყაროს.

1969



**ხილვა: მელა და ჰალიდონები**

ხელს დაუქნევს ბებერ პონტოს,  
აუყვება აღმა ფაზისს,  
მიადგება აიეტის

ციხე-გოჯს და „დედა-მოკას“  
ფიქრი...

და ერთს გაიბრძოლებს,  
რომ წამიერ თვალი მოკრას  
მედვას და  
ჰალიდონებს.\*

---

\*ჰალიდონები – ხალიბები, ძველი კოლხური  
(ქართველური) ტომები.



**თორღვა**

„ობლობით ამიზარდა თორღვაი  
ძაგან გვარია,  
ამაეს ამიყოლა ნავთი და  
ნაკვერჩხალია.“  
ხალხური.

მივდივარ იელოვანში –  
გზა ძნელია და...  
არადა,  
ვერ დავბრუნდები ბარადა,  
თუ ვერ ვიხილე შორიდან:  
– „ჟამი მივია,  
მოვია,  
მუცოს, თორღვაის კარადა.“

1963

**წერტილს დაუსვამს ღოდის**

ათასი განსაცდელისგან

ცა,

კვლავ გვიფარავს

ქვითკირის,

ასე ყოფილა ოდით.

ბოლოს: სიცოცხლეს –

სიკვდილი,

წერტილს დაუსვამს ღოდის.


1989



\* \* \*

მყინვარწვერიდან გადმოვიხედავ;  
რომ ფშავ-ხევსურეთი  
ყალბით დაეხატო.  
და ანანურის ბებერ ციხესთან  
დავკიდებ არხოტს,  
მუცოს,  
ლახატოს,  
რომ საქართველოს ნახონ მშვენება.

1973



**ნერგები**

ის ნერგები წინაპრებმა,  
ათასეულ წელთა იქით,  
ფაზისის და პონტოს პირას,  
სიყვარულით რაც რომ დარგეს,  
ზოგი გახმა,

და ზოგი კი –  
ხარობს ღაზეთს,  
ჭანეთს,  
მარგვეთს.

1968



ალბათ, ხმაა თამარის

ადვასრულე ოცნება –

ჩემი წინამორბედის

და ერთ მუშტად შევკარი:

დიდი საერისთავო –

კლდედ დამდგარი

კლდეკარი,

ატენ-სკვირეთ-ორბეთი.

1979



**მთეპი**

ეცადნენ და დედამიწა,  
ცაში ვედარ აიტანეს  
და ამიტომ დავიწყების  
ბოლი აღევთ:  
მკლავდაკუნთულ მთებს –  
ტიტანებს,  
ბუმბერაზებს,  
გოლიათებს.

2002





\* \* \*

რომ შეიყარა სახეში ქვიშა  
და ჩვენ ყველას რომ  
გვეგონა მუნჯი,  
ქარმა უეცრად აიდგა ენა.  
და გაიფანტა სივრცეში „ტემბრი“.  
ნაპირს ჩაესმის ზვირთების  
ღრენა,  
ზღვამ დაიმშვენა ზოლები ზებრის.

2002



**მითრიდატე VI ეპისკოპოსი**

პონტოს ზვირთების მტვრიან

ხმაურში,

ისმის,

არც ისმის ხმა ზღვით

ნატორი:

სიკვდილს ხელიდან ბევრჯერ

დავუსხლტი

და ფრთები „ქართუს“ ცას

დავატოლე,

„მეფემ ყოველთა“ – მითრიდატე

ეპისკოპოსმა.

1982



\* \* \*

დასაბამიდან დღეთა ცოცხებით,  
მოვარე ვარსკვლავებს  
სადაც მიცოცხავს...  
არავინ იცის, მზე თუ ვინ არი?!  
ზღვაა –  
ცხოვრება,  
სადაც სიცოცხლის  
ადიდებული ჩადის მდინარე.

2000



## კასტელი და ჩელები

თურქებმა და სპარსებმა,

(ვითარც ადრე ველურმა  
ტომმა, არაბ-მონგოლთა)

გადათქერეს ცხენებით,

ქართველის მინდორ-ველები:

– წუსს ამაზე კასტელი<sup>1</sup>  
და ევლია ჩელები.<sup>2</sup>

1975

---

<sup>1</sup> კასტელი – იტალიელი მისიონერი, მოგზაური,  
მხატვარი და ისტორიკოსი.

<sup>2</sup> ევლია ჩელები – თურქი ისტორიკოსი და მოგზაური.



\* \* \*

თეთრი ღრუბლების ანგელოზები  
ჩამომსხდარან და მთვარის  
კერასთან,  
მზის დანატოვარ ცეცხლით თბებიან.  
მთებს –  
თავსასთუმლად უღევთ  
ბორცვები.  
ვარსკვლავები –  
ცის ჭრილობებია,  
რომელიც დამეს დილამდე რომ  
არ უხორცდება.

1967



\* \* \*

გამოიარა შორი მანძილი  
კოლხეთმა...  
ახლა სახლობს ზღვისკარად,  
და მე ლეგენდებს ვუბებ ლოგინად,  
რადგან ამქვეყნად,  
ეკ, რამდენი  
მან იბოგინა,  
მაგრამ სიკვდილი არ მიიკარა.

1966



**არწივის ფრთებით**

დაგრაგნილია, ვით უსახელო,

ოცნება შორი...

და მზეზე თბება.

მშობლიურ ზეცას ადევს სხვა ფერი.

შენ ლაჟვარდებში გინდა აფრენა,

სავსეა ფიქრი

არწივის ფრთებით.

1998



საღამო, ზღვა, მთვარე

სიჩუმის მიღმა,

დასალიერთან,

მზის დარჩენილი ელავს ფერები  
და საღამოა, როგორც შენდობა.

ზღვა ხელებს უწვდის

და ეფერება

მთვარეს გადმომდგარს ცის ლურჯ  
ერდოდან.

1987





\* \* \*

ხეთა,  
მიდია და ბაბილონი,  
ხსოვნის ბორცვიდან ჩანს  
დარჩელივით,  
თუმცა შორიდან ხელებს მიქნევენ,  
დავიწყების ჭირს გადარჩენილი –  
კოლხთა წარსულში უიმედოდ  
მსხდართა ფიქრები.

1998



**ფოთი და მალთაყვა**

გარდასულ ეამთა სილაღეს,  
კვლავ წუხს ფოთი და  
მალთაყვა,  
ადრე ოქროს რომ კვერავდნენ.  
კოლხთა დიდება წყალს  
ბაყვა,  
ვითარცა იელოვანში,  
თორღვაის ჯაჭვის პერანგი.

1984



\* \* \*

მზეა –

კოლხეთის დიდი წარსული

და მაღალი ხარ,

ისე ვითარცა,

შენი დღეები ღამაზს ჰგვანან მთებს,

და უსამანო შენი ფიქრთა ცა,

ბევრ უცნობ,

ახალ ვარსკვლავს

ანთებს.

1972



**სიმდიდრე და სიღარიბე**

ტკბილ ხმას უწვდიდნენ მაღლა  
მეცხრე ცას,  
რვა და-ძმა ჩემი,  
და მეც მეცხრეცა.  
სიღარიბე კი ბებერ  
ძაღლივით,  
სულ ჩვენი სახლის იწვა კარებთან  
და ახლოს არვის არ იკარებდა,  
სიმდიდრის,  
შორი ჭვრეტით დაღლილი.

1958



\* \* \*

ძველ კოლხეთისკენ უღრანს  
მივკაფავ,  
ათასწლეულთა გრძელი დაშნებით,  
მაგრამ არა ჩანს შუქი –

სარკმელის.  
და მე არ ძალმიძს გზათა გაკვლევა,  
რადგან სიცოცხლე  
ტანზე მაშრება.

2002



**ერეხელი**

„ერეხელი ვორექი დო მერეხელი,  
ათეცალი საარიკო!“\* –

სუთიათასწლეულის იქიდან რომ მოდის,  
გაუკვირდეს იქნებ:

ვინმეს ანდა ვისმე,  
ჩვენ კოლხთა ძველთუძველესს,  
სიმდერას რომ ვისმენთ.

1965

---

\* „ერეხელი ვარ და მერეხელი, ამისთანა საარაკო“ –  
(მეგრ.)



\* \* \*

ზოგი წყენას არ ფარავს, და,  
ისევ ისე პირს არიდებს,  
ეგვიპტურის კი არა და,  
ძველ „კოლხური ფსალმუნების“  
ზღვისკარად მღვარ  
პირამიდებს.

1998



\* \* \*

ცას შეყმუიან სიმაღლეს მთები,  
მშიერ მგლებივით დგანან  
ნაბულზე,  
მთვარე დაჰყურებთ, ვით იაუში.  
ქარი ზღვისკარზე  
დევს ჰყავს დაბმული,  
ვაჰ,  
ჩვენი ბრალი,  
თუკი აუშვა.

1984






**ურეკთან**

ზღვა თოლიების ფრთებით ნაწერი,  
მოულოდნელად ქარმა წაშალა.  
ჰორიზონტს მიღმა,  
ახლოს ურეკთან,  
ერთი ღრუბელი ზღვას დაჰყურებდა,  
თავზე ეხურა მწუხრის  
თავშალი.

1979



\* \* \*

სისპეტაკე ცაში ააქვთ  
ლოცვად –  
ატმებს და აღუჩებს.  
ქრისტეს რწმენით განიბანე,  
რომ ცოცხალი გადაურჩე  
პოეზიის კანიბალებს.\*

2001

---

\* კანიბალი (ფრანგ.) – სისხლისმსმელი, ველური.



**შიში**

ჩია,

თეთრთმააბურძგნილი,  
ფართო თვალით დაღის შიში,  
ბნელ შუკებში ეძებს  
მნათებს.

მერე მწუსრი მთვარის ნიშში,  
აურაცხელ სანთელს  
ანთებს.

1969



**ლაშარს და გუდანს**

დასაბამიდან ფშავს და ხევსურეთს,  
მთები ზეცისკენ იწევენ ვაშად,  
(ზამთარ და ზაფხულ,  
ასეა მუდამ.)  
და ჯვარს სახავენ ლოცვად მდგარ  
ლაშარს  
და თოვლს სწირავენ ზვარაკად  
გუდანს.

1974



\* \* \*

დააბრმავა ელვამ სივრცე,  
ღრუბლებმა კი სდიეს  
ქარებს,  
და მთებს იქით კვლავ ქნეს „ჰოპლა!“  
მზე და მთვარე გაიყარნენ,  
ვარკვლავები –  
დარჩნენ ობლად.

1961



**მყინვარმა „კარი გაალო“**

სიკვდილს,

სიცოცხლეს ამგვანებ  
და ვითარც თორღვა ძაგანი,  
მოსაკლავად სდევ  
თეთრ ყორანს

და ასხივოსნებ მრუმე ცას,  
მაგრამ ვაი, თუ მყინვარმა,  
„კარი გაალო“ უეცრად,  
ქვესკნელს დაგხედება  
ვეშაპი

და „ჯაჭვით“ გაგაუკვდავებს.

1977



\* \* \*

სამშობლოს იქით,  
ვარსკვლავები არ ანათებენ  
და მზეებიც უძღურებია.  
მინდორ-ველები მოჩანან უგზო.  
ღრუბლები –  
    შავი კუნძულებია,  
მოხუცი მთვარე –  
    რობინზონ კრუზო.

1960



\* \* \*

დასაბამიდან სიკვდილ-სიცოცხლე,  
ცაზე ვარსკვლავთა დროშებს  
კიდებენ,  
თუმც ადარ ესმით მათ ერთმანეთის.  
დღისით,  
დასავლით მზეს ვეზიდები  
და ღამით მძინავს მკლავზე  
პლანეტის.

1964





**შენი სახელი**

ვაჟაე!

ეგ შენი სახელი,  
შორს გაფრინდება ჩიტივით,  
ხელსაც ვერავინ ვერ ახლებს.  
შენს ობოლს საფლავს –  
სიკვდილი,  
ვერასდროს გადიბალახებს.

1989



აიეტის კოლხეთიდან

შენ მარტო ხარ!

კიდევ ერთი,

ფიქრთა შენთა მომხრე გინდა,

მარჯვნივ მზით და

მარცხნივ მთვარით.

აიეტის კოლხეთიდან –

დამრეკავო დედო ზარის!

2001



**შავ და თეთრ არაგვს**

კაეკასიონის მთით გადმოსული  
მომხდური,  
თუმცა ბევრჯერ დარაგვეს,  
გულში მტრის ჯავრი მაინც  
უცოცაოთ:  
შავს და თეთრ არაგვს.  
და საარაგვოს,  
ბებერ შატილს და  
მოხუც მუცოსაც.

1977



\* \* \*

ღამე ვაზია ელვის ლერწება  
და ვარსკვლავების ისხამს  
ბუდეშურს.

იმალება და დღისით კი არ ჩანს,  
მიმწუხრისას კი  
ცის ლურჯ ბუდეში,  
კვლავ ჯდება მთვარე,  
ვითარცა ყანჩა.

1983



\* \* \*

ბილიკს მიჰყვება ღამე ზღვისკარად  
და უფრიალებს მოვარის  
მერდინი,  
რომელიც ნახევს მოჰგავს დიდების.  
შენ,  
ვითარც უამი მარად მედინი,  
ცას და მიწას შუა გაეხიდები.

1978



\* \* \*

წარსულის მთიდან გადმოქუხარი,  
შენ ხარ ენგური  
კლდეებს მიშლილი  
და სულ ერთია ყოფნა,  
არყოფნა.  
შენთვის შორია ჯერაც სამხრობა.  
მთვარის კი არა,  
შენ ხარ მზის შვილი  
და დრო ვერ შეძლებს –  
შენს ძირს დამხობას.

2008



\* \* \*

მზე სამარედ ზღვას იპოვის,  
ამ სიხარულს  
თვითონ პოვნა,  
რა თქმა უნდა, არ ელოდა.  
მიმწუხრისას,  
მკედარ მზის ხსოვნას,  
დაედება მთვარე ლოდად.

1989



\* \* \*

სახელი უნდა იქცეს ქუხილად,  
უნდა იქნის ელვა მახვილად,  
დიდო მგოსანო,  
დარბაისელო!  
ვით ქრისტე, ზღვაზე უნდა  
გახვიდე,  
ფეხი წამით რომ არ დაისველო.

1989





\* \* \*

ლეგენდიდან გადმოსული,  
ქართული ცის ლაუვარდს  
ელტვი.  
„ყველგან შენი ქება ისმის“.  
სხვა მგოსნებზე –  
შენ ხარ მეტი,  
გატყორცნაზე ერთი ისრის.

1970



\* \* \*

მორჩა,

გათავდა წუთისოფელი...

არც რა მქონია,

არც რას მოველი.

(თბილისს, მტკვრის ოქროს შვენის  
ქამარი.)

მიიპარება და დღე – ყოველი,

ძველ ჭრილობებზე

მაყრის ქვამარილს.

2001



\* \* \*

ყოფნა თქვი...  
თორემ არყოფნა,  
ყველგანაა და იღუმაღ  
დადის,  
დაჰფრენს და  
დაცურავს.  
სადაც სურს იქ შემეყაროს,  
ყველგან დავხვდები  
კაცურად.

2003



\* \* \*

ტყე იხდის მწვანე სამოსს,  
ოხოკოჩი მგონია თავი.  
მიყვარს დელესთან დგომა,  
და ვხედავ: შემოდგომა  
ვით მიჰყავთ ფოთლების  
ნავეებს.

1987



\* \* \*

შენი ყოფნის ცისკარზე,  
ღრუბლები თმებს იშლიდნენ,  
გოჯად არა,  
არშინად.  
ღმერთი მოგვცემს სიმშვიდეს,  
„ორთავ სოფელსა  
შინა.“

1964



**ხილვა: პელაზგები**

პელაზგების<sup>1</sup> ხმა ისმის:

თესალიის ველზე და

სამოთრაკის მაღლობზე.

ნურვინ ნუ გაიოცებს,

რომ ისინი სახლობდნენ –

ლემნოს<sup>2</sup> – ლესბოს<sup>3</sup> –

ქიოსზე.<sup>4</sup>

1972

---

<sup>1</sup> პელაზგები – კოლხებისა და ლაზების წინაპრები  
2,3,4 – ეგეოსის ზღვის კუნძულები.



\* \* \*

გამთენიისას მოვლენ ღრუბლები,  
ცას შეუხვევენ ვარსკვლავთ  
ჭრილობებს,  
დამის სხეულზე რომ ყვავილობენ.  
ზღვა ნაპირს ებრძვის  
კვლავ სიჯიუტით,  
და მიტომ საქმე ცუდად მიუდის,  
ქარებს კი სუნი უდით  
იუდის.

1997



\* \* \*

არსაიდან მოსულები,  
სიხუმის დარბაზებს აღებენ  
ქარები და ღამეს კლავენ.  
მერე მოდიან –  
მკერდაბურცული  
ტალღები  
და ნაპირს უსინჯავენ მკლავებს.

1986





**ხილვა: ტყაშმაფა**

მზეს და სიცოცხლეს

მოწყურებულმა,

მაშინ ვიგრძენი უცებ

ძალა შინ.

როცა მშობლიურ წყურგილს

დავაცხრი.

ვნახე: ტყაშმაფა პარას ჭალაში,

თმას ივარცხნიდა

მოვარის სავარცხლით.

1986



**დრიოპებს და თრაკიელთ**

ევროპას და აზიას –

მათი ხმალი ელაგდა...

ბოლოს ძლივს გაარკვიეს:

რომ ეკავათ ელადა,

ძველ „ბარბაროს“ პელაზგებს,

დრიოპებს<sup>1</sup> და თრაკიელთ.<sup>2</sup>

1966

---

<sup>12</sup> კოლხთა (ქართველთა) წინაპარი ტომი.



\* \* \*

რაც ცა და მიწა ერთურთს  
დაშორდნენ,  
მზე – მეუფეა,  
და მთვარე კი მეფის ნაცვალი.  
დღეს მაღალ შუბლზე აშრება  
ოფლი,  
სანამდის ღამეს თავს ანაცვალებს.

1986



## სული ხეთების

მთვარე ჰკიდია ორღესულივით  
და ღამეები ასწლეულებს  
მიაბოლებენ...

ვფიქრობ, ხეთასთან:\*

სული ხეთების,  
გადაქანცული მტერთან ბრძოლებით,  
გამაგებინა,  
ნეტავი სად დაეხეტება.

2001

---

\* ხეთა (ხობის რ-ნი) ანტიკური ხანის ისტორიული სოფელი.



\* \* \*

ვითარც ადრე,  
დიდი ხნის წინათ,  
აქ,  
არყოფნის ქრიან ქარები.  
სიკვდილი რაა,  
    ცრემლების წვიმა,  
    და მერე...  
        უცებ გამოდარება.

2004



\* \* \*

ჩამავალ მზის მოლოდინში,  
ზღვაზე დეღვა  
კვლავ გახშირდა,  
ცის ქურაში ნაკვერცხლები  
ჩაინაცვლა,  
ჩანახშირდა.  
ამოწვავდა ღამემ ეღვა,  
მთვარის მოხრილ ქარქაშიდან.

1977



\* \* \*

მათი ხსოვნა შოთრ წარსულში,  
კვლავ შრიალებს,  
როგორც ღელი.

ყველა უფლის მსგავსი არი:

კორიბანტი,<sup>1</sup>

კოალელი,<sup>2</sup>

ფეაკი<sup>3</sup> და ფასიანნი.<sup>4</sup>

1987

---

<sup>1 234</sup> კოლხთა წინაპარი ქართველური ტომები.



\* \* \*

იელვებს და...

ვარსკვლავებით,

ჩაჭედილი ზეცის კარი,

გაიღება უცებ.

სძინავს ღამეს, მაგრამ მოვარე,

კვლავ გულივით უცემს.

1964





ციხე-გოჯის ღვას კედლები

შორეული წარსულიდან  
კვლავ მოისმის ხმა –  
ვედრების...  
არ ჩანს მთები, არც ბორცვები.  
ვითარც მერვე საოცრება –  
ციხე-გოჯის ღვას  
კედლები.

1969



\* \* \*

მზეს უყვარხარ და გულში,  
ცეცხლს მიტომ ვეღარ  
აქრობს,  
სურს, რომ ღახვარი იცეს.  
და მთელი ღამე ფიქრობს  
შენზე,  
მოვარე და სივრცე.

1973



\* \* \*

წინაპართა ხმა ესმით –

შავ ზღვასა და

მზიან მთებს,

სიყვარულით ნათესი.

შენ,

გზას ხსოვნა გინათებს –

დიდი გუბაზ მეფის და,

ორი დიდი წათესი.

1968



**შენი ხმა**

„ყველა ხევსური ვიცი დანტეა.“

გ. ლეონიძე

დანტე ალიგიერი,

თუა ყველა ხევსური,

მაშ,

წინ ვინდა აღუდგეს,

ელვის ფრთიან შენს სურვილს.

როცა ცის თაღს მაღლა წევს

ქბ,

შენი ხმა –

ხევსური.

1970



\* \* \*

გამთენიის ნაპირთან,  
ზღვა სულთმობრძავი  
იხილეს,  
ამ დასავესებმა თვალებმა.  
თქვენც მიდით,  
ნახეთ საწყალი,  
ვიცი, რომ შეგებრალებათ...

1983



**მეხი**

განრისხდება და მეხი,  
ღრუბლებს –  
                    ფთილებად დაშლის.  
და დაჭიხინებს სივრცეს.  
და დააჭენებს ცაში  
ელვის უბელო კვიცებს.

1984



უცნობი პლანეტა

ასი კი არა,  
ათასწლეული,  
გვაშორებს ისევ ჩვენ ერთმანეთთან.  
არც ქრისტე მწყალობს,  
არც საბაოთი.  
ჯერაც უცნობი შენ ხარ პლანეტა,  
ჩემო,  
შენთან მზე ადრე ამოდის.

1972



\* \* \*

ბუხრის ყელიდან ამომავალი  
კვამლი ზეცისკენ ეწევა  
ლოცვებს,  
ანგელოზები ეღვის ღამაზ  
საზებს ავლებენ.  
ზე – სამყარო კი დგას მთვარის  
ბორცვზე  
და გადმოგვცქერის უფლის  
თვალებით.

1983





\* \* \*

დედამიწაზე სუფევს ქაოსი...  
ბნელით დახურულ  
ცის უდაბნოში –  
მთიები აწვიმს ღმერთების ბინას.  
ღამეს შიშით და თოვლით  
გათოშილს,  
ათასში ერთხელ აღმოსდება  
მთვარე, ვით გმინვა.

1993



\* \* \*

ცა –

წარსულ დღეთა ბრძოლის ველია  
და ვარსკვლავები –  
წინაპართა ჩვენთა ძვლებია.

სასაფლაოა მთვარის მადლობი.

თეთრი ღრუბლები –

კუნძულებია,

სად მამა-პაპათა სულები

სახლობენ.

1973



\* \* \*

ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს,  
დრო და უამი შეშლილია,  
და თუ ამან შენ შეგბოჭა;  
სიკვდილის ნუ გეშინია,  
შენ,  
სიკვდილი ფეხს  
ვერ მოგჭამს.

1993



\* \* \*

სხეულში გვიდგას წვა და წვალება...  
ცეცხლი კი არა,  
იგი სულია, –  
ჩვენი, რომ ადის ცაში ალუბად.  
და სადაც ქვეყნის –  
დასასრულია,  
სიკვდილს,  
სიცოცხლე იქ ემალება.

2000



\* \* \*

მრისხანე ზევსის ნათლულო,  
დიდო პოეტო – „გენაცვა!“  
გაისმის შენი სახელი:

ვაჟა!

ვაჟა და ვაჟა!

რაც ოლიმპოზე შენმა ცამ,

ინათა და

ირიჟრაჟა.

1993



\* \* \*

წვიმა –  
ცრემლია ანგელოზების  
და ღვთის ბრაზია  
ჭექა-ქუხილი.  
მზის ჩასვლაც,  
ამოსვლაც არს ჩვენთვის  
ფანტომი.  
და ჩვენს სიცოცხლეს ხილულს  
თუ უხილავს,  
სიკვდილზე ზრუნვას და  
ფიქრებს ვანდომებთ.

2001



\* \* \*

ვაჟკაცებს გიზრდი, ჩემო მამულო,  
მაგრამ ამ სოფლად  
ბრალი დამრჩენთა,  
რომელაც ღვთისგან უსიყვარულოდ  
და უშვილძიროდ ყოფნა  
დასჩემდათ!

1997



\* \* \*

წარსულიდან მონაქროლი,  
ეფინება ზამთრის ბაღებს,  
სითბოდ სუნთქვა თარის.

ზეცა –  
დღისით მზის კარს აღებს  
და ღამით კი –  
მთვარის.

1977





\* \* \*

ო, საქართველო,  
ასწლელეულებად  
ჩამოშლილი წლები –  
ნაწვიმი,  
გშვენის ისე, ვით  
ცას ცისარტყელას  
ოქროს ყაწიმი.

1973



## ღორიელები და მაკრონები

დიდი თუკიდიდეს<sup>1</sup> ცნობით:  
მაოხარი ელინები,  
შხამავდნენ, ვით მორიელი,  
ზღვა სიმდიდრის პატრონებს:  
„თმასუჭუჭა“ ღორიელებს,<sup>2</sup>  
და „გრძელთავა“ –  
მაკრონებს.<sup>3</sup>

1974

---

<sup>1</sup> თუკიდიდე – ბერძენი მწერალი (V ს. წ.წ. აღ.)

<sup>2</sup> ღორიელები – კუნძულ კრეტის აბორიგენი, ქართველური ტომები.

<sup>3</sup> მაკრონები – კუნძულ ევბეაზე პირველ მოსახლე ქართველური ტომები.



\* \* \*

სოფლის სასაფლაოსთან –  
წვიმას ვეღარ ანელებს,  
ქოხია თუ  
ტრაქტორი.  
იქ, ვიღაც, ვით გრანელი,  
მივიწყებულ სამარეს  
ცხარე ცრემლით დასტირის.

1972



\* \* \*

ლექსია შენი სიმდიდრე,  
პარიზიკა და  
ვარშავაც,  
მგოსნები მიტომ გბაძავენ.  
ოქრო და ვერცხლი?!  
რას ბრძანებ,  
საიდან,  
ვინ მოგაშავა!

2006



\* \* \*

„პირველიდან იყო სიტყვა...“

და...

მას მერე ეს ლექსები –  
ვარსკვლავებად ცად ხარობენ,  
და შენ „სიტყვას“

ესესხები,  
იოანე მახარობელს.

2007



**სახლიგაცემი**

„მზე – დედაა ჩემი...“

მთვარე – მამაჩემი.“

ხალხური

ღრუბლები ცაში რომ დაეხეტებიან,  
აღბათ ზღვიდან მოსული  
ობლებია  
და გზას არასდროს აღარ აცდებიან.  
თუ მზე და მთვარე –  
ჩვენი მშობლებია,  
ვარსკვლავები ხომ სახლიგაცემია.

1973



\* \* \*

მოვლენ ანგელოზები...  
და ვითარცა ნარცისი,  
სურვილს წყალში მიმაღავ  
და...  
იხილავ კაცის ძეს,  
ცად ღრუბლებზე მიმავალს.

1997



## კორიბანტები

ზეცა ათასწლეულთა,  
ელვით გადამიბეღეს,  
მზეს სინათლეს მატებენ:  
დედა რეა-კიბეღეს<sup>1</sup>,  
ბრძენი –  
კორიბანტები<sup>2</sup>.

1989

---

<sup>1</sup> რეა-კიბეღე – დეთაებათა შორის პირველი  
დედადეთაება.

<sup>2</sup> კორიბანტები – მფარველი ანგელოზები, რეა-კიბეღეს  
ქურუმები.





\* \* \*

რომ დამინახავს ზღვა, და  
ქარიშხალს გამოექცევა,  
ჩემსკენ მორბის  
ხელებგაშლილი,  
ასე მგონია...  
ეჰ,  
სიბერე არის  
ბავშვივით.

1987



**ნუბეუი და სულიწმინდა**

ანგელოზთა ფრთით დახურულ  
და ღვთითმოსილ შენს  
საუფლოს,  
გარს სატანა უელის ბინდად...  
მაინც შენში მზედ  
გადმოდის –  
ნუბეუი და სულიწმინდა.

1962



**რუსთაველის მგავსად**

გინდა მთვარის მოხრილ ყანწით,  
ეს სამყარო შესვა –  
რუსთაველის მგავსად.  
და ვით ოქროპირი,  
კეთილ სიტყვას თესავ,  
მერე იმკი:  
„ოცდაათად,  
სამოცად და  
ასად.“

1989



\* \* \*

ცას მოერღვევა ნაპირი,  
მოვლენ დიდხმიანი  
საყვირით  
ბოროტნი...  
სამყაროს ცრემლები დანამავს.  
მაგრამ იმ დღეზე არავინ იცის,  
არც ანგელოზებმა,  
არც ძემ...  
არამედ მხოლოდ მამამ.

1974



**ისევ კველი კოლხეთი**

ბრძოლით დაღლილი ასწლეულები,  
მის სიდიადეს წარწერებად  
კლდეებს კიდებდნენ,  
ვითარც ყოფილის და არც  
ყოფილის.

ძველი კოლხეთი –

გადაშლილი კიდით-კიდემდე,  
ოქროს საწმისით ცად ასული  
და...

დამხობილი.

1987



**ფიჭვები**

დღისით მზე და ღამით მთვარე,  
ცას უდგას როგორც  
ხაშარი.

ღვთის რწმენა-მაღლი  
მონათობს.

გაზაფხულზე კი ფიჭვები  
ღვანან და მირონს  
ხარშავენ,  
რომ ურჯულონი მონათლონ.

1988



**საქართველო და აფხაზეთი**

ათასწლეულთა სიყვარულმა  
ველარ იმარჯნა  
და ჩვენი ქვეყნის ძლიერება  
ძირს დაენარცხა!!!

ზღვა კი კითხულობს:

ძმათა ომში ვინ გაიმარჯვა?!

ქარი პასუხობს:

– საქართველო და აფხაზეთი  
ერთად დამარცხდა!!!

1992



**პონტოს პირას ღვას კოლხეთი**

მითებით და ლეგენდებით,  
ძველი ათასწლეულები –  
გაფრენილან ცად ოცნებად.  
პონტოს პირას –  
ღვას კოლხეთი,  
ვითარც მეცხრე საოცრება.

1969





**შანი ზღვა**

რა ქნას,  
მედვას ღალატი,  
ზღვამ ვეღარ გამოიგლოვა,  
შავები ისევ აცვია.  
ნეტავი, მე რას მემდურის,  
მნახა,  
და ზურგი მაქცია.

1977



**საფლავის ძმა**

ვით დანტე ალიგიერი,  
ჯოჯოხეთში ვარ ნამყოფი,  
მოვლე სიკვდილის მღვიმე.  
არარა არის ამ სოფლად,  
საფლავის ქვაზე მძიმე.

1994



**ჰგვანან დრიადებს**

სიმყუდროვიდან გამოჩეკილი,  
ლოყა წითელი ატმის  
კვირტები,  
ტოტებზე სხედან სიმწვანის და  
ჰგვანან დრიადებს.\*  
მოდის აპრილი და  
აკვირდება –  
გაზაფხულის ტყის ამ სიდიადეს.

1978

---

\* დრიადები (ბერძნ.) ხეთა მოდგმის დამცველი ფერია.



რუსთაველი – 60

როდესაც გარდაიხვეწა,  
ნაჩხვლეტი ტრფობის ნართა,  
ტანთ ეცვა ოქროს სამოსი.  
თუმც 800 წელი გავიდა,  
ის მაინც დარჩა  
სამოცის.

1966



\* \* \*

კოლხთა სიამაყეს კი,  
ქვეყნად,  
თუ არ ღალატი,  
სხვა ვერავინ მოხრიდა.  
მაგრამ მე ის ამომყავს,  
შორეული წარსულის  
ტანჯვიდან და  
ოხვრიდან.

1964



**სამტრეღიაში**

წარსულიდან ამოსული,  
კოლხურ ფაცხის მინდა  
კვამლი,  
უფალი თუ გაიმეტებს.  
აქეთ –  
პონტო მეგულება,  
იქით – აია და ხვამლი  
და სასახლე აიეტის.

1973



\* \* \*

ძაღლის ყევით თუ მოვარდნილი  
ქარით,

დამფრთხალი,

სველ სახურავზე კატასავით  
მიძვრება კვამლი.

მთვარეს აცვია თხელი ღრუბლის  
მოშავო ხამლი.

კისერს იგრძელებს და უხმობს  
დილას –

სმაჩახლეჩილი ყივილი მამლის.

1973



✠

**ღვას კოლხეთი**

პონტოს თავს რომ დასტრიალებს:

ოდი,<sup>1</sup>

ანდა არდი არი.<sup>2</sup>

ზღვისკარად კი ღვას კოლხეთი:

ისე, როგორც აიეტი,

შუბლშეკრული,

დარდიანი,

თეთრი ჩოხა-ახალუხით,

შავ – ყაბალას – ნაბდიანი.

1963

---

<sup>1</sup> ოდი – კოლხთა (ქართველთა) წარმართული ღვთაება

<sup>2</sup> 'არდი – ოდესღაც მზეს უნდა რქმეოდა'

ივ. ჯავახიშვილი





ამირანის საფლავი

(ვარიანტი)

ქვეყნად სიცოცხლის გადასარჩენად,  
ბოროტ ღმერთებთან  
დიდხანს იომა;  
სანამ ცამ ბნელში აღარ დანისლა.  
თოვლის გვირგვინით  
დაზვინული კაკასიონი –  
საფლავი არის ამირანისა.

1968



**ისევ კორიბანტები**

სადღაც,

შორეულ კრეტაზე,

ტაძრებს და სანთელებს

ანთებენ,

არვის უხდიან ხარაჯას.

და...

ღვანან დედა-ღვთაების

რეა-კიბელას დარაჯად,

ქურუმი კორიბანტები.\*\*

---

\* „კორიბანტები – კოლხთაგანი არიან.“

სტრაბონი.



1999

\* \* \*

მოვერცხილს და მოოქროვილს –  
დღის და ღამის ფროებს  
კვლავ გავშლი,  
რადგან მაღლა ასვლა მინდა:  
მსურს ვეწვიო ვარსკვლავს  
ცაში,  
ჩამოსული ვარსკვლავიდან.

1981



ნაბოლარა

სიცოცხლეზე არ მითქვამს და,  
არც სიკვდილზე ვამბობ არას!  
რვა ძმის და დის  
შემხედვარე,  
მათში ვხედავ მზეს და მთვარეს  
მე,  
მეცხრე და...  
ნაბოლარა.

1981



\* \* \*

ფაზისთან და ხობოსთან –  
მზის და მთვარის აკვანი,  
უფლისგან დარწეული,  
ისევ ისე მავალებს:  
ვიყო თავაწეული...  
და ბრწყინავდეს კოლხეთი,  
მუდამ „ოქრომრავალი.“

1977



**ბეთლემი**

ა, იქ, სადაც მთებია,  
ისმის ღამით გოდება:  
ერთი მწეგმსი მოხუცი,  
სიკვდილს დაეწეებია  
და...  
მას,  
კვლავ ელოდება.



\* \* \*

მძინვარ უამთა ქარიშხალი,  
თითის წვერზე აწეულებს  
და წარსულში ნამძინარეთ:  
ბრძოლით დადლილ ასწლეულებს,  
კოლხეთს –  
ჩამოამდინარებს.

1978



\* \* \*

არ ვხედავ მაგრამ,  
ვგრძნობ საიდანღაც,  
ჩემი კოლხეთის შოორეული  
მიმზერს წარსული.  
უსინათლო და თვალდაშრეტილი,  
ვით წინაპარი –  
„გაღმა“ გასული.

2008





**ხილვა: კოლხები და ბიძირები**

მთიები –

ჩვენი ფესვია,

ცისკენ იწევს მთის ძირები.

ჯერ არ ისმის ჭექა ზევსის.

შორ წარსულში ვიძირები.

და...

ფაზისთან ხმები მესმის –

კოლების<sup>1</sup> და

ბიძირების.<sup>2</sup>

1986

---

<sup>1</sup> „კოლები ცხოვრობდნენ კავკასიაში.“ ჰეკატე მილეტელი.

<sup>2</sup> ბიძირები – პრეისტორიული კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

ვითარც კრუხი ოგვაჯედან,  
მთვარე გადმოცქერის მიწას –  
გარდაცვლილთა საწყალ  
ცხედარს.

ამფითეატრია –  
ზეცა,  
სადაც ვარსკვლავები სხედან.

1961



მეხუთე ათასწლეული

არ შორდება უდაბნოს

მზე,

ძირს იწევა ჯიქურად!

აქ კოლხთა სული ტრიალებს.

და...

ეგვიპტე იხურავს,

პირამიდების ტიარებს.\*

1989

---

\* ტიარა – (სპარს.) წვეტიანი ქუდი.



\* \* \*

მიუყვება პონტოს ტალღებს –  
ხმები ტაბლაკის და  
დაფის,  
საზეიმოდ მოკაზმული.  
შორეული წარსულიდან  
ფიქრთა ძაფით,  
ჩემი კოლხი წინაპარის  
მომყავს სული.



\* \* \*

გალაქტიკებით გაფოთლილ ტანზე,  
ცას ვარსკვლავების  
დაახნდა წყლული.

ღღუ,

ღამედ იქცა,

მხარი იცვალა.

ზღვას ქარიშხლის აღმოსდა სული  
და... მიიცვალა.

1996



**პეპელა სასაფლაოზე**

წვიმით კი არა,  
ამდენი ცრემლით მიწაც  
კი დაღბა.  
სასაფლაოზე ის პეპელა  
რომ დაფარვატებს,  
გუშინ მიწას რომ  
მიაბარეს,  
იმ ციცქნა გოგოს –  
სულია აღბათ.

1967



**რუსთაველი – 800**

ჩენი ქვეყნის ოთხივ მხარეს –  
გაშლილია რუსთა ველი  
და მზის ნათელს  
აფენს დილა.

მოსკოვში დგას რუსთაველი  
მისი ტოლი,  
მისი კბილა.

1963



\* \* \*

უკანასკნელი დღე,  
ვით ბომბეის,  
ცაში ღრუბლების ყრია  
ლოდები.  
ზამთარს უჭირავს ტოტი სიცივის  
და გაზაფხულის მზეს ელოდება,  
მზე კი სიშორეს ჩუმად  
იცინის.

2001





\* \* \*

ცის და ღმერთის შეშინებას,  
მესთა-ტეხა თავს არიდებს,  
თუმცა ზოგჯერ აიშვებს,  
მაინც ასებს ქარი თითებს –  
ვარსკვლავების –  
კლავიშებს.

1979



\* \* \*

ისევ უჭირავს მტკვარი თბილისს  
ორღესულივით  
და თავზე ხურავს საქართველოს ცა –  
მუზარადად,  
და მტერს კვლავ ზარავს,  
როგორც ზარავდა.

1979



\* \* \*

ვითარცა ქრისტეს,  
მაგდანილელი,  
ზღვა,  
ხმელეთს შიშველ ფეხს  
უკოცნიდა.  
ახლა კი ებრძვის,  
დრო ცდუნების აღბათ მოსვლია.  
მოულოდნელად რომ აფრინდა  
ზვირთთა ბორცვიდან,  
ზღვაში დამხვერჩალის სულია  
თუ აღბატროსია?!

1979



\* \* \*

დუმს პარას ჭალა...  
და ქალწული ლერწმის  
გვირგვინი,  
აღბათ აპრილის მოსართავია.  
ხმა აღარ ისმის არც ებგურის  
და არც მეველის.  
ცად რომ მიგორავს მთვარე არა,  
იგი თავია,  
ძირში მოჭრილი,  
იოანე ნათლისმცემელის.

1970



\* \* \*

ქარები და ქარიშხლები –  
ზღვის სიჩუმეს ატაღლებენ  
და ზვირთების იარუსებს –  
ნავები და კატარღები,  
ქრისტესავით მიაღურსმნეს.

1998



\* \* \*

თვალეზ გადმოკარკლულები,  
ღამეს ისევ ამყაყებენ:  
საქმეს ძალით იჭირვებენ:  
ყი-ყინებენ ბაყაყები,  
ჭრი –  
ჭრიჭინით ჭრიჭინები.

1965



\* \* \*

უსსოვარ დროში კოლხეთი,  
ვითარც მზე ამომავალი,  
ფაზისის პირას ჰყვავდა...  
დღეს კი ქცეულა ეწერად!!!  
მთელი სამყარო  
პირველად,  
ოქროს საწმისში ეწერა.

1964



\* \* \*

უფლის შექმნილ ენას –  
ქართულს,  
ადევს შურის ცხრაკლიტული!!!  
გარს ურიცხვი მნათი უფლის.  
რის ბერძნული,  
ლათინური!  
გოთური და სანკრისტული!\*

1968

---

\* სანკრისტული (ინგ.) – ძველი ინდური სამწერლობო ენა.





\* \* \*

წუხს ურარტუ...

ბორგავს ხეთი...

კოლხეთი არ იცვლის იერს,

ავდარი თუ დარი არი;

და ეს უკვირს არიანეს,

დიოდორე სიცილიელს<sup>1</sup>.

1976

---

<sup>1</sup> არიანე – ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (95-175 წ.წ.)<sup>2</sup> დიოდორე სიცილიელი – ბერძენი ისტორიკოსი (90 ან 80 – 29 ან 21 ძვ.წ.ად.)



\* \* \*

სამოთხეში ჰპოვებს ბინას,  
ვინც სიყვარულს მიეკედლა.  
და ბრძენთაგან –  
ასჯერ ითქვა,  
რომ კეთილი ერთი სიტყვა.  
„ხესა შეიქმს ხმელსა  
ნედლად.“

1963



ქარღუ

ქვეყანას –

კოლხი ხელმწიფის მართულს,  
და ათასწლეულებით დაბურულს,

ხმა ესმის ნაპირებზე

ევფრატის,

ტიგროსის და ხაბურის:

– ქარღუ!

ქარღუნია!

ქარღუ!\*

1961

---

\* ქარღუ – კოლხეთის (საქართველოს) მეფე, ეგვიპტის დედოფლის – ნეფერტიტის (თათუს) სიძე (XV-XIV ს. ჩვ.წ.აღ.)



\* \* \*

ცა –

წარსულს მოჰგავს  
და მთვარე კი სადღაც ქანაანობს  
და ჩუმად ბრუნავს დროის  
გელაზი.

მზე პირს იბანს და  
თანაც ქანაობს –  
ცისარტყელას საქანელაზე.

1969



\* \* \*

მთელი წელი არ მენახა  
ზღვა,  
და მასზე დარდმა მომკლა,  
მისთვის მზე და დაფნა მსურდა.  
და როდესაც თვალი მომკრა,  
წამს ნაპირთან დაფაცურდა.

1987



**სიცოცხლეს ხუთი თითივით ვიცნობ**

მარადისობას დავეძებ,

ნიადაგ მემალება და...

ფიცხობს.

თურმე ცხოვრებაა –

კორიდა.

სიცოცხლეს ხუთი თითივით  
ვიცნობ,

სიკვდილს კი,

ისე რა,

შორიდან.

2008



**სანტიებს და ვიქეროხებს**

ასი საუკუნის მერეც,  
ჩემი ხსოვნა მანდ იელვებს,  
სად პირველად მიძმეთ ოხერს,  
და გიყივით პონტოს პირას:  
ზიტრიდებს<sup>1</sup> და  
მანრიელებს,<sup>2</sup>  
სანტიებს<sup>3</sup> და ვიქეროხებს.<sup>4</sup>

1973

---

<sup>1234</sup> უძველესი კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

სხვა ზღვისა და  
სხვა გორის ვარ,  
და სიცოცხლით თავს  
ვიწონებ,  
გამომისხამს მერცხლად ფრთები.  
და...

თვალს, თვალში გაგისწორებ,  
როცა გამომეცხადები.

2006





**ვითარც პართოსი და არამისი**

სტრიქონებს ხმალივით აელვებდი,  
ვითარც პართოსი და  
არამისი.

და, პოეზია –  
შენი ღმერთი იყო ყოველთვის  
შენ,  
საქართველოს იყავ პოეტი,  
კარის პოეტი არ ყოფილხარ  
არავისი.

2008



\* \* \*

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!“  
გრ. ორბელიანი

იყო დრო, როცა მტკვარი თამამად,  
თბილისის ფართო კარს შეაღებდა.  
ახლა მცხეთიდან ჩუმაღ მოღის  
მხრებშებოჭილი  
და მღვრიე ზვირთთა მოყვება ტაში.  
მაგრამ ის მერე  
ორთაჭალის  
ლამაზ ბაღებთან –  
მხრებს გრიგალივით ამაყად გაშლის.

1977



\* \* \*

წარსულიდან კვლავ მოისმის:  
– ქართველების! –  
ძველებურად,  
ხელი ისევ ხმალსა იკარ!  
ნაცნობი ხმა მოვამსგავსე:  
რუსთველს...  
ზიხს<sup>1</sup> და ბელა ვიკარს.<sup>2</sup>

1972

---

<sup>1</sup> ზიხი – უნგრელი მხატვარი (ვეფხისტყაოსნის  
დამსურათებელ-დამალუსტრირებელი.)

<sup>2</sup> ბელა ვიკარი – „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულად  
მთარგმნელი.



\* \* \*

ვინც შენი ბაღის ნაყოფი –  
სიცოცხლედ ჩამოხუნძლული,  
ვითარცა ხილი იხილა,  
სულ სხვაა...  
ხილვებს შენსნაირს,  
ქვეყნად ვერავინ იხილავს.

1984



\* \* \*

ჩამავალი მზის ჭრიალებს ანძა  
და სიმყუდროვის იღება  
კარი:

შემოდის მწუხრი,

ვითარცა ბორო.\*

ზის ცის ტაძარში მოხუცი მთვარე  
და გულის უსმენს  
ვარსკვლავთა ქოროს.

1993

---

\* ბორო (მეგრ.) – ბრიყვი, უვიცი.



\* \* \*

ზღაპრიდან კი ხმობს ცისკარა –  
მკერდში გულად  
კაჟანდები.

ზაფხული კი მზის თვალება,  
სოფლის წყაროს მისწოლია  
და აშრობს ვით  
კაჟანდევი.

1984



\* \* \*

ერთმა მხოლოდ უფალმა  
და სხვამ ქვეყნად არავინ  
იცის,  
ვის რას არგუნებს.  
ოქროს ათასწლეულებს,  
ვით გაფრენილ წეროებს  
მე,  
კოლხეთში ვაბრუნებ.

1989



\* \* \*

მუთაქად კვლავ უღევს დამბა,  
ღამეა და სძინავს  
ხორგას.

ვიღაცა ხმობს: კოლხური ცა  
– გვალო ართო ოქრო-რე.<sup>1</sup>  
აი,

ამიტომაც მოჰგავს,  
აიეტის დოხორეს.<sup>2</sup>

1978

---

<sup>1</sup> ერთიანად ოქრო არის (მეგრ.)

<sup>2</sup> დოხორე (მეგრ.) –სასახლე.





\* \* \*

წარსულში ვიხეტიალე,  
ვსდიე ცის ლანდებს უხილავს  
და მივადექი მზის ნაპირს.  
სადღაც იქუხა!  
ქუხილი,  
ხმად ვცანი კოლხი წინაპრის.


1978



\* \* \*

უამთა ეწერიდან მესმის –  
ყეფა ათასწლეულების,  
ცის ჭალაში ვარსკვლავები  
შრიალებენ ლერწმებად.  
გული ძველი კოლხეთისკენ –  
მონადირეს,  
ვით მწვეარი,  
თოკის წყვეტით მეწევა.

2001



ბალატიონი ქუთაისში – 1899

ქუთაისური ოდა-სახლები –  
ოქროს კრამიტის  
ფართო ზოლებით,  
„რა კარგი იყო ქუჩა ბალახვის.“  
ბაღჩა-ბაღები და  
გაზონები –  
თმა დავარცხნილი მწვანე ბალახით.

1982



\* \* \*

ურიდან\* მოსულმა  
ურიებმა,  
იციან, ვით ვაინახებმა,  
სიყვარულით მჭკვრეტელმა ამ ცის და  
ამ ჭალის:  
იბერიის მიწაზე რომ ინახება –  
ფეხსადგამი,  
ქრისტეს კვართიც და  
სამჭკვალიც.

1972

---

\* ური – შუმერის დედაქალაქი – ძვ.წ.ად. III  
ათასწლეული.



\* \* \*

არწივივით დასტრიალებ –  
საქართველოს მთებს და  
ველებს...

და...

ქარიშხალს მინდობილი,  
ზვირთთა რაშებს  
დააგეღვებ,  
ზღვის მეფე ხარ ფრიდონივით.

1971



\* \* \*

ქართული ცის ზენიტზე მდგარს,  
პირთეთრსა და მოღიმარეს.  
სული მთვარეს ჰგავდეს  
მინდა,  
თუმც ბოლო დროს დღე -ნიადაგ,  
ვიღაც მიხმობს  
ჰადესიდან.\*

2000

---

\* ჰადესი (ბერძ.) – ჯოჯოხეთი



**კლარჯები და შაფშები**

მომხდურს გულშიც არ გაეგლო,  
რომ ქართლს თავზე  
დავესხმები,  
მათ იცოდნენ ცოცხალ თავით,  
არ იყვნენ მტრის გამშეები:  
ჯავახები და  
მესხები,  
კლარჯები და შაფშები.

1966



**ინგირი, ხობოსი და ფაზისი**

მიღმა საუკუნეების –

ინგირი,<sup>1</sup>

ხობოსი,<sup>2</sup>

ფაზისი,<sup>3</sup>

ვითარც მაშინ, ჩანს იგივე.

პონტოს ხედავ კვლავ

გალეშილს.

და წარსულის შამბნარებში,

კვლავ ვეფხვივით დაშლივინებ.

1963

---

<sup>1</sup> ინგირი – ენგურის უძველესი სახელი.

<sup>2</sup> ხობოსი – ხობისწყალი (ძველი სახელწოდება)

<sup>3</sup> ფაზისი – რიონის ძველი სახელწოდება.





**ხსოვნის ჩიტი**

გარდასულთა ვრცელ მინდვრებზე  
დაყრილ-დაფანტულ  
თარიღებს,

(რაზეც უამი ხმას არ იღებს).

ისტორიის ხსოვნის ჩიტი,

სულ მარცვალ-მარცვალ

აიღებს.

1999



\* \* \*

დრო ქალივით უნდოა  
და ცბიერი,  
ვით სიკვდილმა აღარ იცის  
დანდობა.  
დე, დღეებმა იქუსოს და იელვოს,  
რას დაგვაკლებს უამთა  
ცვალებადობა,  
რადგან გული ისევ დატარიელობს.

2006



\* \* \*

სულთმობრძავი და ფერმიღეული –  
ზღვაში თავს იხრჩობს  
მზის ათინათი.

შენ,

ძეს – ქარიშხლის

უკან მოგვივის.

შორს მიმქროლავი წლები

სინათლის

და ვარსკვლავებით – ცა

დაკორტნილი.

1977



\* \* \*

მზემ ჩაიმუხლა მყინვართან,

ცა შეკრთა!

უცებ შებინდდა.

მიწყნარდა ზვირთთა ხმები.

არაგემა ფშავის მთებიდან,

ძლივს გამოსტია მხრები.

1978



\* \* \*

ეგვიპტის წყვლიადში,  
სპარსეთს და ისპაჰანს,  
ქართული სული სულ,  
ზღვასავით ჩქამობდა;  
და აი, ამიტომ დავიწყებას  
აღარ გაატანს,  
საქართველოზე ფიქრებით ჩამომდნარ:  
კოლას და არტანუჯს,  
ტაოს და  
არტაანს.

1986



**ხატუსა და ბაბილიუს**

ავთვალი და ავსული,  
კოლხთა დიდი წარსულის,  
ცხრაკლიტულში კეტავს მზეს:  
ხატუსსა<sup>1</sup> და  
ბაბილიუს<sup>2</sup>  
და ფესტოში<sup>3</sup> –  
კრეტაზე.<sup>4</sup>

1986

---

<sup>1,2,3</sup> უძველესი ქალაქები

<sup>4</sup> კრეტა – ნახევარკუნძული საბერძნეთში.



\* \* \*

პონტოს ნაპირზე ათასწლეულებს,  
ღამე აძინებს მეგრულ  
„ნანათი“.

და ცა წარსულის სახეს იოსებს.  
ჩემი კოლხეთი,  
ვით ჰელიოსი,  
ამოენთება და...  
სამყაროს გადაანათებს.

1980



\* \* \*

არ იძინებენ,  
მთელი ღამე  
სიშორეს ჩურჩულებენ  
ვარსკვლავები –  
თვალები ურჩხულების.

1987





\* \* \*

კოლხური ცის ოგვაჯეში,  
ღამემ მთვარის კვერცი დადო,  
ისმის ვარსკვლავთა კაკანი –  
იქ – წყალტუბოს,  
აქ – საირმეს...  
შენი ზღვა კი მოკამკამე,  
მღვრიე ტალღებს  
არ გაირევს.

1982



\* \* \*

ცა – ოკეანეა და  
    მიაქროლებენ  
                    მთვარის ნავს,  
ღრუბლების ქათქათა აფრები...  
    შენ თვალებს გივსებენ  
    ვარსკვლავთა ქაცვები.  
და სულს მიკორტნიან სისხლიანი  
დღეთა ქორები.  
    დედამიწიდან გინდა გაქცევა  
    და მზერა გაგირბის შორეთზე.

1972



**ფურბილი**

(ვარიანტი)

ვერავინ პოულობს მის სათავეს,

აი,

ზოგიერთს რა ამწარებს

და ამიტომაც

გულგრილია.

კოლხთა წარსულიდან –

მოწანწკარე –

შენი პოეზია წყურგილია.

1998



\* \* \*

დედამიწა უმზეოდ,

და ცა –

უფლის სამეფო,

აღარა ღირს ჩირადაც,

ღამით რომ არ ანთებდეს

ვარსკვლავების –

ჩირაღდანს.

1987



\* \* \*

ელვის დაკლავილი ბილიკებით –  
წვიმები მიდიან,  
მოდიან...  
სულს უღრნით ზღვად ქცევის  
ეჭვები.  
ცა – ხან იცინის და  
ხან ტირის.  
და ამძოვრებულ დრუბლების  
ბეჭვებზე,  
ვარსკვლავები –  
ფუთფუთობენ ცხვანტივით.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ცხვანტი – (მგვრ.) მატლი.



1971

\* \* \*

წარსულისკენ იწველის კისერს  
ლეგენდა... და  
სინამდვილე –  
ბინას პონტოს პირას იდებს.  
და აღმართავს კოლხურ  
ცისკენ,  
ქარი ზვირთთა პირამიდებს.

1982



\* \* \*

კვამლი აუდით ათასწლეულებს  
და დიდ წარსულთან  
უამი მაშორებს.  
სიმწრის ღიმილი პირზე მაშრება:  
რომ აღარ მესმის ხმები  
აშურის,<sup>1</sup>  
არც ტიბიების და არც ქაშქების.<sup>3</sup>

1991

---

<sup>123</sup> უძველესი კოლხური (ქართული) ტომები.



**ხილვა: ჰერაკლე და ჰერკულუსი**

ათასწლეულების მერეც,  
ტიგროსის და პონტოს  
პირას,  
ვჭვრეტ წინაპრებს უერთგულეს:  
ამირანს და  
არამხუტუს,  
გმირ ჰერაკლეს და ჰერკულესს.

2001





\* \* \*

სიყვარულით და მზითმოსილები,  
ანგელოზების ტოლი,  
და სწორი,  
ლამაზ ქუჩებში ბევრნი მიდიან.  
და დღე და ღამის  
ქალაქის ჭორი,  
გარეთ სარეცხის თოკზე კიდია.

1987



\* \* \*

გადაუღებელ ომის დელგმაში,  
რა დრო გასულა,  
ეჭვი,

ესერა!

წინაპრები კი ხმას არ იღებენ.  
ისტორია კი ხსოვნის მესერით,  
შემოდებული საძვალეა –  
მკვდარ თარიღების.

1997



\* \* \*

გამთენიისას სოფლის შარაზე,  
ვიღაც მხედარი მიიმდერის,  
ვით ავთანდილი.  
ნახევარ სოფელს ჯერ ისევ სძინავს,  
მაგრამ ვიღაცის  
ცნობისწადილი,  
ცხვირ-პირს მიაჭყლებს  
ფანჯრის სველ მინას.

1972



\* \* \*

თავზე მახურავს ცა ბიბლიური,  
ბედის ვარსკვლავი –  
სადღაც კიაფობს.  
და მზეც აღსავლით ისევ იურვის,  
მთვარის ხომალდი –  
უსამანო სივრცეს მიაპობს,  
მეც, ვით იონა მივალ იაფოს.

1978



\* \* \*

ბოლოს ბაყბაყ დევივით,  
    ჟამი ყველას ჩაგველაპავს  
    და ჩუმად მოგვინელებს.  
განა მართლა ოდი\* ვართ.  
    ჩაგვიდამებს მზე უპეს  
    ჰკითხეთ სენტ ეგზიუპერს,  
    თუ საიდან მოვდივართ.

1970

---

\* ოდი – დმერთი კოლხურ პანთეონში.



\* \* \*

ღამის წყვდიადში დილის ნათელს და  
არყოფნის მტვერში

მზის მარცვალს ვეძებ,  
ტყუპისცალია ჭირი და ღხენა.

აი,

ამიტომ მკიდია ფეხზე,  
ქვეყანა ესე –  
ზენა და ქვენა.

1978



\* \* \*

ვარსკვლავთა ფერად ყვავილნარებში  
მოჩანს,

არც მოჩანს მთვარის  
ფერდობი.

ძვალშესალაგი არსის ციერის.

სიკვდილი არა,

სიცოცხლეა მუდამ ცბიერი,

ძეო ადამის!

მას ბოლომდე

ნუ მიენდობი.

2008



\* \* \*

ყელგამშრალი ეს ღრუბლები,  
ქარიშხლებს რომ ეწირება,  
თითქოს სვავთა გუნდებია.  
ზღვით მოსული  
ეს წვიმებიც –  
ისევ ზღვაში ბრუნდებიან.

1984





\* \* \*

ვარსკვლავების სიცილში,  
მთვარე დასავლეთით და  
აღმოსავლით მზე იღტვის  
და ზეციდან მოისმის –  
ხმები სუფსხვანაირი:  
არფისა და  
ფლეიტის,  
ციმბალის და დაირის.

1989



მით ობოლი მარგალიტი\*

ჟამთა ზღვამ რომ გამორიყა,  
ვით ობოლი მარგალიტი,  
ღირსი მზეში შეფუთვის:  
„ტოშფა“,<sup>1</sup> „ტაბუ“,<sup>2</sup> „მარგალითი“,<sup>3</sup>  
„საწმისი“,<sup>4</sup> და  
„ეფუთი“.<sup>5</sup>

1969

---

\* ბიბლიამდელი ხუთი კოლხური (ქართული) წიგნი.

1 ტოშფა, „ტაბუ“ – 1500, 1500 ჩვ.წ.ად.

3,4, „მარგალითი“, „ეფუთი“, – 5600, 5000 ჩვ.წ.ად.

5 „ოქროს საწმისი“ – (კვირბი) 1300 ჩვ.წ.ად.



\* \* \*

დაიჭექა და ქუხილმა,  
ელვა სტყორცნა ცას –  
მახვილად.  
ნისლის ფთილა იქცა ჩიტად.  
დილამ თვალი გაახილა  
და მზემ თვალი  
მოიფშენიტა.

1994



\* \* \*

უცაბედად ზღვას

ვით ელვა,

გადაუფრენს ხმა მეხური.

არ ჩანს გემი,

არც მატროსი,

მიუყვება ზვირთთა მაღალ საფეხურებს

ქარიშხალი,

და ფრთებსაშლის

ალბატროსის.

2001



\* \* \*

მზე დასავლეთით მიეშურება,  
იცინის ღვინო კვლავ  
ხარის რქაში,  
ბლავილი გააქეთ პონტოს პირას  
ზვირთებს თუ ვერძებს.  
მე,  
ზღვის ღელვაში და ქარიშხალში  
ან მარესა<sup>1</sup> და აიეტის<sup>2</sup>  
დიდ კოლხებს ვეძებ.

1968

---

<sup>1</sup> ან მარე – ცის კაცი, კოლხეთისა და ქიმეთის

(ეგვიპტის) მითიური ხელმწიფე (3185-3120 ძვ.წ.ად.)

<sup>2</sup> აიეტი – კოლხეთის ლეგენდარული მეფე (1300 წ.  
ძვ.ად.)



\* \* \*

სდევ...

და ხელებს აღარ უშვებ

შენ,

სიცოცხლის კაბის კალთას.

გული ასეზის ნახმლევია,

და თხოვ გამჩენს ეს გაკმაროს.

შენთან სიკვდილს

რა ხელი აქვს,

უძიროს და უსახლკაროს.

1987



\* \* \*

ეს ბაჯადლო ვარსკვლავები,  
ცის მეუფის განძი არის,  
განგებით რომ მომადლია  
კავკასის მთა –  
ხომადლია,  
მყინვარწვერის ანძიანი.

1976



**მარღუპი**

საიდანდაც ზღვას ესმის  
ხმა მოების და  
კორდების:  
„ჩქიმი რექ დო, მარღუნქი“<sup>1</sup>  
კოლხეთს მზე არ შორდება,  
ვით ბაბილონს  
მარღუქი.<sup>2</sup>

1972

---

<sup>1</sup> ჩემი ხარ და მე გზრდი (მეგრ.)

<sup>2</sup> მარღუქი – ბაბილონის პანთეონის უზენაესი ღვთაება. ქ. ბაბილონის მფარველი ღმერთი (ხვ.წ.ად. XVIIIს.)





\* \* \*

(ვარიანტი)

მამა – მშობელმან არ მიმატოვოს,  
ვითარცა წინათ  
კვლავ მიფარავდეს.  
მისი სიშორით კვლავ ვიღეწები.  
თვალმიპყრობილი ცისკენ  
მარადის  
ეს „მე ვარ ვაზი,  
თქვენ კი ლერწები!“

1967



\* \* \*

მიღმა შვიდი-რვა ათასწლეულის,  
სივრცეს ადამის გმინვა  
მოესმის:

– არავინ რჩება აქ სააქაოს.  
გადარჩენილ წარდვნას  
და ქაოსს,  
კავკასიონი –  
კიდობანი არის ნოესი.

1964



\* \* \*

მოკამკამე ზღვის სარკეში –  
რიკულები ჩანს აივნის  
და თოლია მეთედ თუ  
მეასედ,  
ჩამოივლის და აივლის –  
ზვირთთა მაღალ ტერასებს.

1974



\* \* \*

ღვიძლი არიან ცა და მიწა  
და სიყვარული ერთმანეთის  
აღარასოდეს არ კლებიათ.

მთვარე ძიძაა და  
ვარსკვლავები –  
ანგელოზების აკვნებია.

1991



\* \* \*

წყალში დამხვრნალთა საწყალ  
სულივით,  
ტალღა ამოდის და...  
წუხს წუხილი.  
არის ბუნების ფერისცვალება.  
ღელვა მზე მიჰყავს  
სადღაც მწუხრივით  
და ვარსკვლავებით ცა იცვარება.

2003



\* \* \*

ენგური კლდეებს ფეხებს უკოცნის,  
გულ-მკერდს უხსნის და  
სუნთქვას ახშირებს.

ელვაც გადუფრენს ცას  
დამფრთხალ ქორად.  
მთვარე უშბაზე ზის და  
მახეშვივით,  
იდუმალ უსმენს ვარსკვლავთა  
ქორაღს.\*

1973

---

\* ქორაღი (ღათ.) გუნდური საგალობელი.



\* \* \*

მიმწუხრია...

და აწუხებს

ვარსკვლავების –

ცას ჭრილობა.

და ზვირთების – ზღვას დედობა,

ქარის – აღვირახსნილობა

და გრიგალის თავხედობა.

1979



\* \* \*

ვინც რომ გაექცა ტანჯვას  
მიწიერს,  
მათი სულია ელევა –  
ღამით ცაში მროკავი,  
სიხარულით რომ თვალი ევსება.  
ვინც ჩავიდა და დარჩა მიწაში,  
მათ სურთ ამოსვლა,  
მაგრამ ფესვებით,  
ხეები ხელ-ფეხს კვლავ უბორკავენ.

1991





\* \* \*

ვით წინაპართა ხსოვნის სულები –  
ვარსკვლავები ცაში მარხია  
და დასტირის წუთი და  
წამი.

მზე – დღის სახეა,  
და მთვარე – ღამის.

1959



\* \* \*

პრესტორიის მოწყენილ ცაზე,  
წარღვნიდან მოსული  
კოლხეთი,

ბრწყინავს,

ვით ვარსკვლავი ისნის.

„კოლხური ფსალმუნების“

უღრანში,

სამყაროს გულისცემა ისმის.

1961



**მოსხები და შჰვითინები**

თავს სიზმარშიც მობრალევენ,  
მარები<sup>1</sup> და  
მაკრალევი,<sup>1</sup>  
მოსხები<sup>3</sup> და შჰვითინები<sup>4</sup> –  
პონტოს პირას მოდიან და,  
მიმწუსრამდე ქვითინებენ...

1963

---

<sup>1234</sup> შავი ზღვის (პონტოს) ნაპირებზე ძველად მოსახლე კოლხური (ქართველური) ტომები.



\* \* \*

არყოფნიდან მოსული,  
მახვილს ვგავარ ალესილს,  
მოლოდინში აურის,\*  
საიდანღაც ხმა მესმის –  
რადაც,  
არ აქაური.

1962

---

\* აურა (ბერძნ.) – ნიავის ქროლა.



\* \* \*

ქარს შორიდან ზვირთთა მთები  
მოაქვს როგორც  
სახლაური.  
ყინვა ჩუმად ბურტყლავს შუნებს.  
შიშველ-ტიტველ  
ზღვას ზღვაური,  
წვიმის მათრახს უტყლაშუნებს.

1971



უაფელუსი კოლხეთი

ბევრი ათასწლეულების,  
ბევრზე ბევრი ადევს  
კლიტე,  
გაღება გსურს,  
ველარ აღებ!  
მაინც მედგარი და ლადი,  
კოლხთა წარსულს  
ჩაკირკიტებ.

1964



\* \* \*

ზღვას და ქარიშხალს  
გამოქცეული,  
მთებს მიეფარა ღრუბლის  
ნაგრამი  
და მზეს წყვლიადში ეცვალა მხარი.  
შორით გამოჩნდა  
ხომალდი მთვარის  
და წამს ველურმა  
ვარსკვლავებმა ცა  
დააბრმავეს.

1972



კოლხეთი – XV-XIVს. ძვ.წ.აღ.

წლები და მტრები კი,  
ზოგჯერ უამს –  
მოხელთვის,  
ცეცხლზე ნავთას ასხამდნენ...  
და მაინც ყვაოდა კოლხეთი  
პონტოდან –  
კასპამდე.

1978





\* \* \*

ურწმუნო თომებს

უკვდავება არა სწამთ სულის,  
სჯერათ რომ სიკვდილის გზა  
ხისტია,

რა თუნდ არბილონ.

ჩვენ კი ვიცით, რომ გველოდება

დიდი წარსული

და მისკენ იწევს სული ჩვენი,

როგორც ბაბილო,\*

ბაბილონის თაღზე ასული.

1980

---


\* ბაბილო – ყლორტი.



\* \* \*

ღრუბლის ბალიშზე უდევს  
მთვარე,  
ვით კვერცხი ციცრის  
ცას,  
ვარსკვლავებით ნაქსოვს.  
უფალთან დავდე ფიცი,  
რომ არაფერი ვიცი,  
არც არაფერი მახსოვს.

1983



\* \* \*

არაგვის მღვრიე ზვირთში შევცურე,  
ხმალ-ხანჯლიანი მივალ  
ხევსურეთს.

ზღაპრიდან დევთა ისმის ღრიალი,  
მაგრამ დევები აღარსად ჩანან.  
(თუმც მათთან შებმა  
არაფრად მიჩანს).

სადღაც მუცოდან ფრუშკა ხმობს  
ჯღანას,  
შატილიონს კი ბუთლა და  
ხირჩლა.

1971



\* \* \*

შორეულ წარსულს,  
ვით კარაბადინს,  
ჩუმად გადაშლი,  
როგორც ვიკარი,\*  
ოქროს საწმისზე დარდით მოსილი.  
ღამეებს ახლოს აღარ  
იკარებ  
და თვალებიდან მზე ამოგყავს  
ჰელიოსავით.

1964

---

\* ვიკარი (ღათ.) მიტროპოლიტის, არქიელის მოადგილე



\* \* \*

თვალი დაუხუჭიათ,  
ლოღზე დაყრილ თარიღებს,  
თითებს ვადებ ცივ შუბლზე,  
ხმას არცერთი არ იღებს.  
მხოლოდ იქვე კუთხეში,  
თუ რამდენი იცოცხლა,  
ყვება ძველი გომური.  
სიკვდილივით მიცოცავს  
მწუსრი შემოდგომური.

1971



**შამაშ**

ღამის უღრანიდან მოდის,  
გზას მიჰყვება  
თამაშ-თამაშ.

მხრებით მიაქვს ვებერთელა  
მთვარის ღოღი  
და აღსავლით დგება შამაშ\*.

1963

---

\* შამაშ (სვან.) – მზე, აქაღურად – დღე.



\* \* \*

ცაზე კიდია ვარსკვლავები –  
ზარები თითბრის,  
ცის სიშორე რომ  
სინათლის  
სმლებით,  
ვით ხევსურებმა ათასჯერ კეჭნეს.  
ვზივარ ნაპირზე  
და გულში ვითვლი  
სობისწყლის ფსკერზე –  
მნათებივით მიმოყრილ კენჭებს.

1958



## ბარბაროსები

„...უძველესი საბერძნეთის მკვიდრნი

„ბარბაროსები“ (პელაზგები ვ.ე.)

იყვნენ და არა ელინელები.“

ჰეკატე მილეტელი (VI ს. წ.წ.ად.)

მაშინ არა,

აი,

ახლაც,

„ბარბაროსთა“ სიძულვილის,

ზოგნი ისევ მთესავია.

და კვლავ შურით შეცქერიან –

კრეტასა<sup>1</sup> და

თესალიას.<sup>2</sup>

1964

---

<sup>1,2</sup> კრეტა, თესალია – კოლხთა შორეული წინაპრების საცხოვრისი, თავისი 90 ქალაქით.





\* \* \*

მწყალობელი და ასე კეთილი,  
ჩემი მფარველი ცაში  
მეგულვის  
და მოხელის დღიდან მიტომ  
შევტირი:  
სახელი ჩემი –  
წევდიადიდან ამოკვეთილი,  
რომ ცად დაკიდოს ნათლის  
სვეტივით.

2001



\* \* \*

ღრუბლების მაღალ გორაკებს იქით,  
აფეთქდა მთვარე,  
ვითარცა ნადმი,  
ვარსკვლავთა სისხლით ცა დაიცვარა.  
და სოფლის ბოლოს  
აყმულდა ძაღლი,  
ო, ალბათ, ვიღაც გარდაიცვალა.

1964



\* \* \*

ღვთისბოძებული წუთის და წამის,  
აღარ იციან მგოსნებმა  
ყადრი,  
რადგან აქ სულსხვა ქარები ქრიან,  
რადგან სხვებისთვის რაც არის  
ადრე,  
მათთვის ყოველთვის ისაა გვიან.

1996



**პელაზგებს და ტირსენებს**

ისტორიის მეუფენი –

სტრაბონი და ჰელანიკე,

ჰეროდოტე,

ჰეკატე,

წარსულიდან ისმენენ:

კრეტაზე<sup>1</sup> და პელოპონისს,<sup>2</sup>

ელინები,

ვით არბევენ,

პელაზგებს<sup>3</sup> და ტირსენებს.<sup>4</sup>

1978

---

<sup>1</sup> კრეტა – კუნძული ეგეოსის ზღვაში.

<sup>2</sup> პელეპონისი – სამხრეთ საბერძნეთი

<sup>3</sup> პელაზგები – კოლხთა წინარე ტომი

<sup>4</sup> ტირსენები (ეტრუსკები) კოლხთა მონათესავე ტომი.



\* \* \*

წინაპრების სულზე მლოცველს,  
წარსულ დღეთა მოამაგეს,  
უკვდავება პირს გარიდებს.  
რადგან ჩემო!

ქვით კი არა სიტყვით აგებ,  
შენ „კოლხური ფსალმუნების“  
პირამიდებს.

1964



## პრეხელი

„ერეხელის“ შოორ სიმღერას,  
ისე ვისმენ, როგორც „ლილეს“  
იქნებ ეს ხმა გავაგონო,  
ისტორიის ნაცარწაყრილ –  
ღორიელებსა<sup>1</sup> და დრილებს,<sup>2</sup>  
და ეს ფიქრი დიდ წარსულზე  
ცხოვრების წესს მიადვილებს.

1978

---

<sup>12</sup> კოლხთა შორეული წინაპრები.



\* \* \*

მზეს და სიცოცხლეს შევთხოვდი  
უფალს,

რადგანაც მისი მემართა  
ვალი;

როს ღამემ მთვარის აუშვა აფრა;  
მაშინ ანგელოზს მოგკარი თვალი  
ცაში...

რომელიც იმწამსვე გაქრა.

1980



\* \* \*

სინათლის ეტლით გადაუქროლეს  
ღმერთებმა მძინარ  
ათასწლეულებს,  
მათი ბორბლების სმა ჩამოდის  
ჩვენთან ქუხილად.  
ღამის წყვილია –  
ვარსკვლავების არის წუხილი,  
დედამიწაზე უხმოდ წვეული.

2001





კოლხები და საპირები

რომაელთა აფრებს ჭვრეტენ  
და წამით არ იძინებენ,  
მათთან შებმას აპირებენ:  
ბეჭირები,<sup>1</sup>  
ბიძირები,<sup>2</sup>  
კოლხები<sup>3</sup> და საპირები.<sup>4</sup>

1969

---

<sup>1234</sup> კოლხთა მონათესავე ტომები.



\* \* \*

მიშვებულია ნების სადავე,  
გაქრა სიშორე და  
სისადავე.

მორჩა!

საკუთარ თავსაც გადაველ!  
აწ თვით უფალიც ვეღარ მიშველის,  
რომელიც ციდან მწამს  
მითვალთვალებს,  
ვითარც მოვედი, წავალ შიშველი!

2008



**ღეიოქუს, თუკიდიდუს**

კოლხეთის დიდ წარსულში,  
ჩუმიად სამოგზაუროდ,  
უნდა ვთხოვო ბილეთი:  
ღეიოქუს,<sup>1</sup>  
თუკიდიდუს<sup>2</sup>  
და ჰეკატე მილეტელს.<sup>3</sup>

1961

---

<sup>12</sup> ღეიოქე, თუკიდიდე – ბერძნ. ისტორიკოსები.

<sup>3</sup> ჰეკატე მილეტელი – ბერძნ. ლოგოგრაფოსი, მწერალი.



\* \* \*

ხან წინ გვისწრებს დაოთხილი,  
ხანაც მოგვდევს დრო და ჟამის,  
უკან ჰუნე  
და მტვრით ფარავს ხეთასა და მიდიას.  
წვიმის წვეთებს თავზე ხშირად  
უკაკუნებს  
და... ცას მიწა,  
სულ ფეხებზე ჰკიდია.

1999



არბონავთებისა და დოლიონების  
ბრძოლა

(ნაწყვეტი პოემიდან)

დაერია დოლიონებს,<sup>1</sup>  
იაზონის ლაშქარი და...  
წკვარამ ღამით რომ იომეს,  
დილით კიზიკოსის<sup>2</sup> სისხლით,  
შეღებილი თეთრი დროშა,  
ცაზე ცოდვად დაკიდეს...  
(ეს ასე აქვს მოთხრობილი,  
დიონისოს ქალკიდელს<sup>3</sup>)

1968

<sup>1</sup> დოლიონები – პელაზგთა მოდგმის ტომი

<sup>2</sup> კიზიკოსი – დოლიონების ახალგაზრდა მეთევვე, რომელიც მოკლა იაზონმა.

<sup>3</sup> დიონისოს ქალკიდელი (IV ს. ჩვ.წ.ად.)



ჯეონი

ათასჭირგამოვლილები

დღეები –

იქცნენ ტინებად.

სიკვდილს,

სიცოცხლით ვეომე.

აქ –

მტკვარი

მიედინება,

ჯოჯოხეთში კი ჯეონი.

2003



**ხილვა: აიეტის სამეფო**

წარსულის ცა გაიხსნა,  
ოქროდ იქცნენ წამები  
და ვარდებით მოირთო;  
აიეტის სამეფო –  
კოლხეთი და კორინთო.

1967



**ბერძულის სამკუთხედი**

რაც უფალი ამქვეყნად –  
ყოფნისათვის გვაკურთხებს,  
ვიბრძვით ჩვენ ღღე –  
ნიადაგ.

თუმც ცხოვრება მიაგავს –  
ბერძულის სამკუთხედს.

2000





**რომული**

აიეტის<sup>1</sup> მამა გახლავთ

მზე,

სამყაროს რომ უვლის.

კირკესა<sup>2</sup> და ოდისევსის<sup>3</sup>

შვილებია: ლატინი და,

რომაცა და რომულიც.<sup>4</sup>

1971

---

<sup>1</sup> აიეტი – კორინთოსა და კოლხეთის მითიური მეფე

<sup>2</sup> კირკე – აიეტის და (ანასული)

<sup>3</sup> ოდისევსი – ტროას გმირი

<sup>4</sup> რომული – რომანოსი (რომის დამაარსებელი 3.1.)

ოდისევსის და კირკეს ძე.



\* \* \*

ეჭვი!

ჩემო, კაცის ცხოვრება,  
არის დაჭრილი ვეფხვის  
ხაველი,  
გარს რომ დღეებია ახვევია  
მშიერ ფოცხვრებად.

და...

უდარდელად ნიშა ხარივით  
მიდის სიკვდილი და...  
სიცოცხლეს მიიცოხნება.

2001



\* \* \*

წარსულიდან რომ გადმოაქვთ ქარებს,  
– ნეტავი რაა,  
რომ არ უჩანს სახე და პირი  
– მედეას ხმაა!  
ენატრება კოლხეთი და...  
სიყვარულს ტირის...

1958



\* \* \*

ღამის წყვლიადით გამოკეტილი,  
წარსულის ბევრი შევადე კარი:  
ან ვინ ანგლები,<sup>1</sup>  
ან ვინ ინკები?²  
მე, შოორეული ისტორიის ნაცარში  
ვიჩხრიკები,  
იქნებ,  
კოლხეთის დაბადების  
წავაწყდე თარიღს.

1962

---

1 ანგლები – ძველი ჩრდილო გერმანელი ტომები (იხ.)

2 ინკები (ინდიელები), რომლებმაც შექმნეს მაღალი კულტურა.



წვიმის კაცუნები

(ვარიანტი)

დრუბლების ბნელ ქოხმასებში  
ცხოვრობენ,  
მაგრამ ხანდახან,  
უძილო ეშმა აცდუნებთ:  
და ძირს გადმოყრის  
ფეხშიშველ  
წვიმის კაცუნებს.

1988



\* \* \*

ტანზე იცვამენ ათასწლეულებს  
და სახე თოვლით  
შეფეთქილი აქვთ  
და დგას სამი ძმა –  
მთებად ქცეული:  
უშბა და შხარა  
და ეს თეთნულდი:  
ამირანი, არამხუტუ და ბეთქილია.

1966



\* \* \*

მიწებებია ტუჩები ტუჩებს,  
ერთად ქცეულან სული და  
ხორცი.  
სუნთქვა შეკვრია ბანჯგვილიან გულ-  
მკერდს,  
რადგან ხედ იწვის კოცონი კოცნის,  
ვნება ცრემლების  
საკმეველს უკმევს.

1957



\* \* \*

სიცოცხლე მუდამ მოდის ტირილით  
და მერე გვიან  
ყაისნადივით  
სუსტ თითებს მკერდზე ჩუმად  
დაგვიწყობს,  
გადაიქცევა უცებ ტყიურად,  
და დამთავრდება,  
რითაც დაიწყო,  
ჩვენი ცხოვრების უვერტიურა.





სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

ფსალმუნი.....25

\*\*\* (როცა სიფრიფანა მწუხრი).....26

\*\*\*(ვითარც უცხო პლანეტა).....27

\*\*\*(მნათთა სანთლებს ანათებენ).....28

\*\*\*რწმენის კუნძული.....29

\*\*\*სოდომიც და გომორაც.....30

გვირილები არაგეთან.....31

\*\*\*(დღის ბოლოს).....32

მთავარანგელოზი მიქაელი.....33

ხილვა: მეღვა და ჰალიძონები.....34

თორღვა.....35

წერტილს დაუსვამს ლოდის.....36

\*\*\*(მყინვარწვერიდან გადმოვიხედაე).....37

ნერგები.....38

აღბათ, ხმაა თამარის.....39

მთები.....40

\*\*\*(რომ შეიყარა სახეში ქვიშა).....41

მითრიდატე VI ევპატორი.....42

\*\*\*(დასაბამიდან დღეთა ცოცხებით).....43

კასტელი და ჩელები.....44

\*\*\*(თეთრი ღრუბლების ანგელოზები).....45

\*\*\*(გამოიარა შორი მანძილი).....46

არწივის ფრთებით.....47

სალამო, ზღვა, მთვარე.....	48
*** (ხეთა, მიდია და ბაბილონი).....	49
ფოთი და მალთაყვა.....	50
*** (მზეა – კოლხეთის დიდი წარსული).....	51
სიმღიდრე და სიღარიბე.....	52
*** (ძველ კოლხეთისკენ უღრანს მივკაფავ).....	53
ერეხელი.....	54
*** (ზოგი წყენას არ ფარავს და...).....	55
*** (ცას შეეშუიან სიმაღლეს მთები).....	56
ურეკთან.....	57
*** (სისპეტაკე ცაში ააქვთ).....	58
შიში.....	59
ლაშარს და გუდანს.....	60
*** (დააბრმავა ელვამ სივრცე).....	61
მყინვარმა კარი გააღო.....	62
*** (სამშობლოს იქით...).....	63
*** (დასაბამიდან...).....	64
შენი სახელი.....	65
აიეტის კოლხეთიდან.....	66
შავ და თეთრ არავს.....	67
*** (ღამე ვაზია ელვის ღერწება).....	68
*** (ბილიკს მიჰყვება ღამე ზღვისკარად).....	69

*** (წარსულის მთიდან გადმომქუხარი).....	70
*** (მზე სამარედ ზღვას იპოვის).....	71
*** (სახელი უნდა იქცეს ქუხილად).....	72
*** (ლეგენდიდან გადმოსული).....	73
*** (მორჩა, გათავდა წუთისოფელი).....	74
*** (ყოფნა თქვი თორემ...).....	75
*** (ტყე იხდის მწვანე სამოსს).....	76
*** (შენი ყოფნის ცისკარზე).....	77
ხილვა: პელაზგები.....	78
*** (გამთენიისას მოვლენ ღურბლები).....	79
*** (არსაიდან მოსულები).....	80
ხილვა: ტყაშიმაფა.....	81
ღრიოპებს და თრაკიელთ.....	82
*** (რაც ცა და მიწა ერთუროს დაშორდნენ).....	83
სული ხეთების.....	84
*** (ვითარცა ადრე).....	85
*** (ჩამავალ მზის მოლოდინში).....	86
*** (მათი ხსოვნა შოორ წარსულში).....	87
*** (იელვებს და...).....	88
ციხე-გოჯის დგას კედლები.....	89
*** (მზეს უყვარხარ და გულში).....	90
*** (წინაპართა ხმა ესმით).....	91
შენი ხმა.....	92
*** (გამთენიის ნაპირთან).....	93

მეხი.....	94
უცნობი პლანეტა.....	95
ბუხრის ყელიდან ამომავალი.....	96
*** (დედამიწაზე სუფევს ქოსი).....	97
*** (ცა...).....	98
*** (ძალი პატრონს ველარა ცნობს).....	99
*** (სხეულში გვიდგას წვა და წვალება)...100	
*** (მრისხანე ზევსის ნათლულთ).....	101
*** (წვიმა).....	102
*** (ვაჟკაცებს).....	103
*** (წარსულიდან მონაქროლი).....	104
*** (ო, საქართველო).....	105
ღორიელები და მაკრონები.....	106
*** (სოფლის სასაფლაოსთან).....	107
*** (ლექსია შენი სიმდიდრე).....	108
*** („პირველიდან იყო სიტყვა...“ ).....	109
სახლიკაცები.....	110
*** (მოვლენ ანგელოზები).....	111
კორიბანტები.....	112
*** (რომ დამინახავს ზღვა და...).....	113
ნუგში და სულიწმინდა.....	114
რუსთველის მსგავსად.....	115
*** (ცას მოერღვევა ნაპირი).....	116
ისევ ძველი კოლხეთი.....	117
ფიჭვები.....	118

საქართველო და აფხაზეთი.....	119
პონტოს პირას დგას კოლხეთი.....	120
შავი ზღვა .....	121
საფლავის ქვა .....	122
ჰევანან დრიადებს .....	123
რუსთაველი – 60.....	124
*** (კოლხა სიამაყეს კი...).....	125
სამტრედიაში.....	126
*** (ძაღლის ყეფით).....	127
დგას კოლხეთი .....	128
ამირანის მთა.....	129
ისეუ კორიბანტები .....	130
*** (მოვერცხლილს და მოოქროვილს).....	131
ნაბოლარა.....	132
*** (ფაზისთან და ხობოსთან).....	133
ბეთლემი .....	134
*** (მძვინვარ ჟამთა ქარიშხალი).....	135
*** (არ ვხედავ მაგრამ).....	136
ხილვა: კოლხები და ბიძირები.....	137
*** (ვითარც კრუხი ოგვაჯედან).....	138
მეხუთე ათასწლეული.....	139
*** (მიუყვება პონტოს ტალღებს).....	140
*** (გალაქტიკებით გაფოთლილ ტანზე).....	141
პეპელა სასაფლაოზე .....	142

რუსთაველი – 800.....	143
*** (უკანასკნელი დღე).....	144
*** (ცის და ღმერთის შეშინებას).....	145
*** (ისევ უჭირავს მტკვარი თბილისს ორღესულივით).....	146
*** (ვითარცა ქრისტეს).....	147
*** (დუმს პარას ჭალა).....	148
*** (ქარები და ქარიშხლები).....	149
*** (თვაელბ გადმოკარკულეები).....	150
*** (უხსოვარ დროში კოლხეთი).....	151
*** (უფლის შექმნილ ენას).....	152
*** (წუხს ურარტუ...)	153
*** (სამოთხეში ჰპოვებს ბინას).....	154
ქარდუ.....	155
*** (ცა – წარსულს მოჰგავს).....	156
*** (მთელი წელი არ მენახა).....	157
სიცოცხლეს ხუთი თითივით ვიცნობ.....	158
სანტიებს და ვიძეროხებს.....	159
*** (სხვა ზღვისა და...)	160
ვითარც პორტოსი და არამისი.....	161
*** (იყო დრო...)	162
*** (წარსულიდან კვლავ მოისმის).....	163
*** (ვინც შენი ბადის ნაყოფი).....	164
*** (ჩამავალი მზის ჭრიალებს ანძა).....	165
*** (ზღაპრიდან კი ხმობს ცისკარი).....	166

*** (ერთმა მხოლოდ უფალმა).....	167
*** (მუთაქად კვლავ უდევ დამბა).....	168
*** (წარსულში ვიხეტიალე).....	169
*** (ჟამთა ეწერიდან მესმის).....	170
გალაკტიონი ქუთაისში-1899 .....	171
*** (ურიდან მოსულმა ურიებმა).....	172
*** (არწივივით დატრიალებ).....	173
*** (ქართული ცის ზენიტზე მდგარს).....	174
კლარჯები და შავშეები .....	175
ინგირი, ხობოსი და ფაზისი .....	176
ხსოვნის ჩიტი .....	177
*** (დრო ქალივით უნდოა).....	178
*** (სულთმობრძავი და ფერმილეული).....	179
*** (მზემ ჩაიმუხლა მყინვართან).....	180
*** (ეგვიპტის წყვდიადში).....	181
ხატუსა და ბაბილპშს.....	182
*** (პონტოს ნაპირზე ათასწლეულებს).....	183
*** (არ იძინებენ).....	184
*** (კოლხური ცის ოგვაჯეში).....	185
*** (ცა - ოკვანეა...).....	186
წყურგილი .....	187
*** (დედამიწა უმზეოდ).....	188
*** (ელვის დაკლაკნილი ბილიკით) .....	189
*** (წარსულისკენ იწვდის კისერს).....	190
*** (კვამლი აუდიტ ათასწლეულებს).....	191

ხილვა: ჰერაკლე და ჰერკულესი .....	192
*** (სიყვარულით და მზითმოსილები).....	193
*** (გადაუღებელ ომის დელგამში) .....	194
*** (გამთენიისას სოფლის შარაზე) .....	195
*** (თაფზე მახურავს ცა ბიბლიური).....	196
*** (ბოლოს ბაყბაყ დევივით).....	197
*** (ღამის წყვილიადში).....	198
*** (ვარსკვლავთა ფერად ყვავიღნარებში).....	199
*** (ყელგამშრალი ეს ღრუბლები).....	200
*** (ვარსკვლავების სიცილში) .....	201
*** (ვით ობოლი მარგალიტი).....	202
*** (დაიჭექა და ქუხილმა...).....	203
*** (უცაბედად ზღვას, ვით ეღვა).....	204
*** (მზე დასავლეთით მიეშურება).....	205
*** (სდევ...) .....	206
*** (ეს ბაჯადლო ვარსკვლავები).....	207
მარდუქი .....	208
*** (მამა-მშობელმა არ მიმატოვოს).....	209
*** (მიღმა შვიდი-რვა ათასწლეულის).....	210
*** (მოკამკამე ზღვის სარკეში).....	211
*** (ღვიძლი არიან ცა და მიწა).....	212
*** (წყალში დამხვრჩალთა საწყალ სულივით).....	213
*** (ენგური კლდეებს ფეხებს უკოცნის).....	214



\*\*\* (მიმწუხრია) ..... 215

\*\*\* (ვინც რომ გაექცა ტანჯვას მიწიერს) .. 216

ვით წინაპართა ხსოვნის სულები ..... 217

\*\*\* (პრეისტორიის მოწყენილ ცაზე) ..... 218

მოსხები და შქვითინები ..... 219

\*\*\* (არყოფნიდან მოსული) ..... 220

\*\*\* (ქარს შორიდან ზვირთთა მთები) ..... 221

უძველესი კოლხეთი ..... 222

\*\*\* (ზღვას და ქარიშხალს) ..... 223

კოლხეთი – XV-XIV ს. ძვ.წ. აღ. .... 224

\*\*\* (ურწმუნო თომებს) ..... 225

\*\*\* (ღრუბლის ბალიშზე უდევს) ..... 226

\*\*\* (არაგვის მღვრიე ზვირთში შევცურე ... 227

\*\*\* (შორეულ წარსულს) ..... 228

\*\*\* (თვალი დაუხუჭიათ) ..... 229

შამაშ ..... 230

\*\*\* (ცაზე კიდია ვარსკვლავები) ..... 231

ბარბაროსები ..... 232

\*\*\* (მწყალობელი და ასე კეთილი) ..... 233

\*\*\* (ღრუბლების მაღალ გორაკებს იქით) . 234

\*\*\* (ღვთისბოძებული წუთის და წამის) ..... 235

პელაზგებს და ტირსენებს ..... 236

\*\*\* (წინაპრების სულზე მლოცველს) ..... 237

ერეხელი ..... 238

\*\*\* (მზეს სიცოცხლეს შესთხოვდი

უფალს).....	239
*** (სინათლის ეტლით გადაუქროლეს.....	240
კოლხები და საპირები.....	241
*** (მიშვებულია ნების სადავე).....	242
დეიოქეს, თუკიდიდეს.....	243
*** (ხან წინ გვისწრებს...).....	244
არგონავტებისა და დოლიონების	
ბრძოლა.....	245
ჯეონი.....	246
ხილვა: აიეტი სამეფო.....	247
ბერმუდის სამკუთხედი.....	248
რომული.....	249
*** (ეჰეი!).....	250
*** (წარსულიდან რომ გადმოაქვთ	
ქარებს).....	251
*** (ღამის წყვდიადით გამოკეტილი).....	252
*** (წვიმის კაცუნები).....	253
*** (ტანზე იცვამენ ათასწლეულებს).....	254
*** (მიწებებია ტუჩები ტუჩებს).....	255
*** (სიცოცხლე მუდამ მოდის ტირილით)......	256

מכתב

"האגודה הישראלית ללימודי חשבון" 100-שנה  
במסגרתה, פועלת האגודה להעברת, פיתוח ו  
הערכת תוכנית לימודים, להעברת שיעורים  
למנוחה ולתעסוקה של כל מי שרוצה ללמוד  
"חשבון" במסגרת "האגודה הישראלית ללימודי חשבון"  
האגודה פועלת ב-6 קמ"מ ברחבי הארץ על  
מסגרת תוכנית לימודים, ויש להחליט על  
העברת שיעורים על מנת להעניק ללומדים  
ב-6 שנים לימודים, ו-100 שנה  
האגודה פועלת במסגרת "האגודה הישראלית ללימודי חשבון"  
האגודה פועלת במסגרת "האגודה הישראלית ללימודי חשבון".

מכתב  
2020



ვაჟა ეგრისელი

# კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 17

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 17

გამომცემლობის

რედაქტორი

– მარი ეზნატაშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– მანანა მამულაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ზურაბ დოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com